

# დროშა

ივნისი
№ 6 1977 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სოფელი ლონიერია...

ეროვნული ბიბლიოთეკა



თარხან არჩვაძის ფოტო.

ლიდა ბოსტოლანაშვილი ფერმაში.

მარჯვნიდან: ალექსი პენაშვილი (მეცხოველე), კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი და ზაქარია ვახტანგიშვილი (მეცხოველე).



ეროვნული ბიბლიოთეკა







ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა.

საბჭოთა დელეგაციაში, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატორთა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, თავიდანვე მიიპყრო ყურადღება ერთმა ახოვანმა კაცმა.

საქართველოდან წარგზავნილი ეს ბეჭებში ლაღად გაშლილი, ახოვანი ვაჟკაცი მოძმე გერმანიაში ხშირად საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ეგონათ და მისალმების დროს პირველად მისკენ იშვერდნენ ჩამოსართმევად გაწვდილ ხელს.

— წამართვა ამ გოლიათმა ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა! — ღიმილს ველარ იკავებდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ლეონტი ფლორენტიევი და ნირწამხდარ ნიკო ყოჩიაშვილს წელზე მეგობრულად ხვევდა ორივე ხელს.

ამ გულითად მეგობრობას ჯერ კიდევ მოსკოვიდან გერმანიაში გამომგზავრების წინ ჩაეყარა მტკიცე საძირკველი.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო ყოჩიაშვილი დინჯი კაცია. ეს კახური სიდინჯე, სიტყვის ფხა და ფრთიანობა, ენით უთქმელი რაღაც ჩაუღველფავი სითბო და საქმის ბოლომდე მიდევნება, საუბარშიც შემოუნახავს მას.

სათქმელს, როგორც წესი, ყოველთვის ბოლომდე პირწმინდად გათქმევინებს ხოლმე, მოსასმენს მოგისმენს, დასტურის ნიშნად ხშირად ღიმილით დაგიკრავს კვერს.

მერე მოსდგება თავმჯდომარე და ჩვეული სიდინჯით, ხმის აუმაღლებლად წამოიწყებს საუბარს; ლაზათს შემატებს სიტყვას, აზრს ძარღვს შეასხამს, მეტ შნოსა და საფანელს მიუსადაგებს სათქმელს.

მსუბუქი იუმორი, რომლითაც ნიკო ყოჩიაშვილმა თავიდანვე მოხიბლა დელეგაციის წევრები, მეტ სილაღეს აძლევდა მის საქმიან საუბარს, უფრო სასურველს, უფრო საამოს, უფრო სახალისოს ხდიდა ხოლმე მასთან ახლო ყოფნას.

გერმანიიდან გამომგზავრების წინა დღეს ჯაფარიძელთა კოლმეურნეობის თავკაცმა მოულოდნელად მოიწყინა.

ფერმას ათვალიერებდნენ. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად, საგულდაგულოდ შემოიარეს პირუტყვის მექანიზებული სადგომები, დაათვალიერეს კომბინირებული საკვების შემამზადებელი საამქროები, გაეცნენ მოწინავე მეცხოველეთა მართლაც რომ სანაქებო და მისაბაძ საქმიანობას.

თვალი მაინც თვალია! ვერა და ველარ დაიოკა ეს დაალმასებული თვალი ნიკო ყოჩიაშვილმა! დადიოდა ფერმაში, ათვალიერებდა ყველაფერს, გზადაგზა გულდასმით ისმენდა საუბარს, თვალი კი, ეს დაალმასებული, მუდამ უტყუარი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (486) ივნისი, 1977 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1977.







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით ხეფიაშვილი
კორექტორი ქეთევან წერეთელი

თარხან არჩვაძის ფოტო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხოველე შოთა ხარაშვილი

და უღალატო თვალი, ისევ და ისევ მინდორში შეფენილი შავჭრელი ჯიშის ჩათქვირული ძროხებისაკენ გაურბოდა.

— მოგწონთ?

ფიქრებში ჩაძირულ თავმჯდომარეს გადაშლილი ბლოკნოტით ხელში ლეონტი ფლორენტიევი ამოსდგომოდა გვერდში.

მოგწონთო? ჰაი დედასა! შირაქის მადლიან მიწებზე მიეცით ნიკო ყოჩიაშვილს ასეთი შავჭრელი ჯიშის ჩათქვირული ძროხები და მერედა ჰკითხეთ, მოსწონს თუ არა?

საქართველოს ხშირად მევენახეობისა და მეჩაიეობის რესპუბლიკას ეძახიან, მაგრამ ნურას უკაცრავად! მეცხოველეობაც ოდითგანვე მოგვდგამს!

ჩვენში ამჟამად ასე დაკნინებული მეცხოველეობის სწრაფად აღსაზევებლად, აი, ასეთი, დიახ, სწორედ აი, ასეთი ჯიშიანი მსხვილფეხა საქონლის მოშენება და მომრავლება გვჭირდება!

— მდა! — თავმჯდომარის გულიდან ამოხეთქილი სიტყვების მოსმენისთანავე ფიქრიანად ჩაილაპარაკა ლეონტი ფლორენტიევმა და გადაშლილ ბლოკნოტში, გაკრული ხელით, სწრაფად მიინიშნა რაღაც.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მინისტრმა, შემოტრიალდა, ძროხებზე მიშტერებულ ნიკო ყოჩიაშვილს გახედა და ხმამაღლა ჩაილაპარაკა:

— ვნახოთ. ვეცდებით, დაგეხმაროთ!

* *
*

ზაფხულის მიწურული იდგა.

ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარის კაბინეტში შეკრებილი მევენახეები ახალი ზვრების გაშენებაზე მსჯელობდნენ. კარი მოულოდნელად სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგემ ილია ხეფიაშვილმა შემოაღო. გახვითქული ფერმის გამგე სირბილით მიიჭრა ნიკო ყოჩიაშვილთან და ორთავე ხელის აწევით ომახიანად შეჰყვირა:

— ძროხები ჩამოვიდნენ!

თათბირი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეწყდა.

წითელწყაროს რკინიგზის სადგურში მალე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ჩიხში მიყენებული საბარგო მატარებლის ვაგონებიდან ერთმანეთის მიყოლებით ფრთხილად ჩამოჰყავდათ მოსკოვის ოლქის ტალდამის რაიონიდან ჯაფარიძელი კოლმეურნეებისათვის საგანგებოდ გამოგზავნილი შავჭრელი ჯიშის სანაშენე მსხვილფეხა საქონელი.

როცა საბარგო ვაგონიდან ჩამოყვანილმა უკანასკნელმა პირუტყვმა დააბიჯა შირაქის მადლიან მიწას, თავმჯდომარემ იკითხა:

— რამდენია?

— ორასი სანაშენე და ათი ბულა-მწარმოებელი!

— ზუსტია! — ახლაღა გაიღიმა ნიკო ყოჩიაშვილმა, — რასაც დამპირდა პატივცემული ლეონტი ფლორენტიევი, ხედავთ, შეასრულა კიდეც!

ტალდამის რაიონიდან ჩამოყვანილი საჯიშე საქონელი კოლმეურნეებმა იმავე საღამოს დააბინავეს მათთვის წინასწარ აგებულ კაპიტალურ სადგომებში.

* *
*

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობა არა მარტო ჩამორჩენილი, არამედ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი საკმაოდ მივიწყებული და ხელმიშვებული დარგი იყო.

რომელიმე კოლმეურნეობა, ანდა საბჭოთა მეურნეობა თუკი როგორმე მოახერხებდა, რომ პირუტყვის მოვლა-მოშენება გაეუმჯობესებინა, ამაზე მათ, ცხადია, არავინ გაკიცხავდა; არც წველადობის გაზრდაზე, ნამატის შენარჩუნებასა და ხორცის წარმოების გადიდებაზე ეუბნებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფელი ღონიერია...

უარს; პირიქით, აქებდნენ და მადლობასაც ეუბნებოდნენ საჯაროდ.

ეს იყო და ეს!

მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისა და მისი რენტაბელობისათვის არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული მაორგანიზებელი სტიმული, საფუძვლიანი წახალისება, ხელშეწყობა.

წლების მანძილზე უგულებელყოფდნენ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის აუცილებლობას; არ სწარმოებდა რეზერვების მობილიზება, საქმისათვის საერთო ძალით შეტევა, მეურნეობებისათვის კონკრეტული და ყოველმხრივი საიმედო დახმარების გაწევა.

აი, ასეთ უსულგულო ვითარებაში ჩვენს რესპუბლიკაში იყვნენ ადამიანები — საკოლმეურნეო წარმოების გამობრძმედილი მუშაკები, საქმეში ჩახედული ორგანიზატორები, რომლებიც წინდაწინ ითვალისწინებდნენ ყველაფერს. ეს ადამიანები ცდილობდნენ თავიანთი შესაძლებელი საზღაური მიეზღოთ მეცხოველეობისათვის, დაერაზმათ მშრომელები, ყველაფერი ეღონათ ჩამორჩენილი დარგის სწრაფი წინსვლისა და განუხრელი აღმავლობისათვის.

მომავლისათვის ზრუნვის გარდა სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ, თუნდაც, ტალდამის რაიონიდან ჯაფარიძის კოლმეურნეობაში შავჭრელი ჯიშის სანაშენე მსხვილფეხა საქონლის შემოყვანას და მოშენებას?! იმ დიდ გულდაჯერებას, ცდასა და მეცადინეობას, გაუტეხელ შემართებას, რომელსაც აქაური მშრომელები იჩენდნენ მეცხოველეობის დარგის განვითარებისათვის?!

უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარმა უმნიშვნელოვანესმა ძვრებმა ახალი ძალა და ენერგია, რწმენა და დაჯერება შემატა ჯაფარიძელ კოლმეურნეებს.

აი. სწორედ ამ ღრმა რწმენამ, ნეგატიურ მოვლენებთან შეუნელებელმა ბრძოლამ, რესპუბლიკის პრესტიჟის ამაღლებამ, საქმისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულმა შეაძლებინა ჯაფარიძელ კოლმეურნეებს სასახელო მაჩვენებლებით დაემთავრებინათ მეათე ხუთწლედის პირველი წელი.

მოდი და ნუ გაოცდები! მარტო შარშან, ჯაფარიძელმა მევენახეებმა 846 ჰექტარზე გააშენეს ახალი ზვრები; უამინდობის მიუხედავად, ჰექტარზე საშუალოდ 67 ცენტნერი ყურძენი მიიღეს და სახელმწიფო მარანში 1.492 ტონა ყურძენი შეიტანეს.

არც მხვნელ-მთესველებს შეურცხვენიათ თავი! ხუთწლედის პირველ წელს ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა 10.000-მდე ტონა მარცვლეული აწარმოეს და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გეგმა 147 პროცენტით შეასრულეს.

რძე — 1.605 ტონა!

სახელმწიფოსათვის რძის ასეთი დიდი რაოდენობით მიყიდვა ნათლად მეტყველებს მეცხოველეობის სწრაფ აღმავლობაზე, მის ფეხაწყობილ წინსვლაზე, კოლმეურნეთა თავდადებულ შრომასა და მონდომებაზე.

ჯაფარიძელ კოლმეურნეთა თავდადებულ შრომაზე ნათლად მეტყველებს აგრეთვე ხორცის წარმოებაში, მეფრინველეობაში, მეხილეობასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში მოპოვებული მართლაცდა თვალსაჩინო წარმატებები.

ასეა, როცა რწმენა გინმტკიცდება, მეტი ძალა და ხალისი გეძლევა, მეტი ხვავი და ბარაქა ემატება შრომას!

* *
*

მზე იწვერება.

ტარიბანას ველიდან მოვარდნილი ნიავი დროდადრო საამოდ აშრიალებს აშოლტილ ხეებს.

შორს, თვალუწვდენელ სივრცეზე ჩარიგებულ ზვრებს კოლმეურნეები შესევიან.

ორნი ვართ—მე და თავმჯდომარე.

მეღორეობისა და ფურკამეჩის ფერმები უკვე დავათვალიერეთ, ახლა ძროხების სადგომებისაკენ მივიჩქარით.

— ეს ძროხებია? — ვეკითხები ნიკო ყოჩიაშვილს და მინდორში გამოფენილ შავჭრელ ფურებზე შორიდანვე მივანიშნებ.

თავმჯდომარე დასტურის ნიშნად მიქნევს თავს.

მე უკვე ვიცი, რომ რუსეთიდან ჩამოყვანილმა ამ შავჭრელმა ძროხებმა კარგად იმრავლეს შირაქის მადლიან მიწაზე, რომ შარშან 3.123.000 მანეთი საერთო შემოსავლიდან ჯაფარიძელმა კოლმეურნეებმა თითქმის ნახევარი მეცხოველეობიდან მიიღეს.

— იმედი გაგვიმართლეს! — ახლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იშვერს ხელს მინდორში გამოშლილი შავჭრელი ძროხებისაკენ, — ჩვენებური ძროხა დღეში მხოლოდ ხუთ-ექვს ლიტრ რძეს გვაძლევს, შავჭრელი ძროხა კი დღეში ოცდაათ ლიტრსაც იწველის.

ისევ მეცხოველეობაზე ვსაუბრობთ.

შავჭრელი ჯიშის ძროხა ძირითადად სარძეო მიმართულებისაა, მაგრამ ხორცსაც უხვად იძლევა. განა საკმარისი არ არის ვთქვათ, რომ თითოეული ასეთი ძროხის საშუალო წონა მარტო ერთი წლის მანძილზე 400 კილოგრამს აჭარბებს.

ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობაში უახლოეს ხანში მხოლოდ შავჭრელი ჯიშის ძროხები ეყოლებათ. ხუთწლედის ბოლოს კოლმეურნეობა სახელმწიფოს იმდენ რძეს ჩაბარებს, რამდენსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მთელი რაიონი აბარებდა.

— თავიდათავი მაინც პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზაა! — ფიქრიანად მეუბნება თავმჯდომარე და ჩვეული სიდინჯით წვრილ-წვრილად მახედებს ამ საქმეშიც.

კოლმეურნეობას თურმე 400 ჰექტარზე აქვს საუკეთესო საძოვრები. გარდა ამისა, 700 ჰექტარ ფართობზე ითესება სხვადასხვა ბალახი, რომელსაც ყოველწლიურად, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც თიბავენ.

დიდი რაოდენობით მზადდება აგრეთვე ჩალა, ნამჯა, თივის ფქვილი, სილოსი, კონცენტრირებული საკვები.



მეცხოველე სარდიონ ყოჩიაშვილი

მეცხოველეთა ქალაქში, როგორც კოლმეურნეები ეძახიან მეძროხეობის ფერმას, ერთ-ერთი პირველი ნაგებობაა პირუტყვისათვის საკვების შემამზადებელი საამქრო. ამ საამქროში დამზადებული საკვები სპეციალური ტრანსპორტიორების საშუალებით შეაქვთ სადგომებში და განსაზღვრული რაოდენობით ურიგებენ ძროხებს.

— მალე კიდევ უფრო გავზრდით ყუათიანი საკვების წარმოებას, — ამბობს ნიკო ყოჩიაშვილი და მაშინვე ღიმილით დასძენს, — სხვა რა ჩარაა?

სხვა ჩარა არ არის! მომრავლებული ფურკამეჩის, ღორის, ძროხისა და ცხვრის თავიდათავი მართლაც რომ საკვებია!

ფერმას მივადექით. თავმჯდომარემ კარი შეაღო, წინ გამატარა, მერე მხარში ამომიდგა და წყნარად მითხრა:

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთვრამეტე პლენუმის გადაწყვეტილება ზუსტად მიესადაგა ჩვენს გულისთქმას. თავს არ შევირცხვენთ!

და მე ვიგრძენი, შრომის ვეტერანი, საკოლმეურნეო წარმოების გამობრძმედილი ორგანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი მარტო არ იყო! მასთან ერთად მელაპარაკებოდნენ კოლმეურნეები, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ძალასა და მონდომებას არ ზოგავენ სკკპ XXV ყრილობის მიზანდასახულობათა ღირსეულად განხორციელებისათვის.

დავით გიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამთა სიავემ, ჩვენი ისტორიული ბედის უკუღმართობამ, მტრის ურდოების გამუდმებულმა შემოსევებმა და ბარბაროსობამ ყურძნის ბევრი ქართული ჯიში დააკნინა და გადაშენების გზაზე დააყენა; მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ჩხავერი. ამას ისიც დაემატა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გურია-აჭარაში, სადაც უმთავრესად იყო გაშენებული ეს ჯიში, ჭრაქი და ნაცარი მომძლავრდა. ვაზის ამ ძლიერმა, ულმობელმა დაავადებამ კიდევ უფრო გაახანაგა ისედაც დაკნინების გზაზე დამდგარი უნიკალური ვაზის ჯიში ჩხავერი.

ნათქვამის დასადასტურებლად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ კოლხური ვაზის ამ უძველეს ჯიშთა ერთ-ერთ ფენომენს გურიაში, აჭარასა და აფხაზეთში დღეს მხოლოდ რამდენიმე ათეული ჰექტარი უკავია.

* *
*

ჩხავერის მოშენებას ამჟამად სამ მეურნეობაში მისდევენ — მახარაძის რაიონის სოფელ ბახვში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში და გუდაუთაში.

რაიონის ცენტრიდან საჭამიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისაკენ მივეშურებით. ჩვენთან ერთად მოდიან ჩოხატაურის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომები ანანია დევიძე და რეზო ბერიძე.

რაიონის ხელმძღვანელობამ ანანია დევიძე საგანგებოდ გამოგვაყოლა — ვეტერანი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, 45 წელია ამ საქმეს ემსახურება და ყველაზე უკეთ იცის ჩხავერის ისტორიაო. ანანიამ კი თავის მხრივ სხვა წინადადება წამოაყენა — გალაქტიონ ცინცაძეს გავუაროთ და თან წავიყვანოთ. საჭამიასერის მეურნეობის პირველი დირექტორი ეგ იყო და უკეთეს მემატიანეს ვერსად ვიპოვითო.

გალაქტიონ ცინცაძე, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, 70 წელს მიტანებული ჭარმაგი და მხნე კაცი, ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა, ბევრი საყურადღებო რამ გვიამბო ჩხავერის შესახებ. ამჟამად გ. ცინცაძე სტაროსელსკის სახელობის საქარის საცდელი სადგურის მევენახეობის ჩოხატაურის საყრდენი პუნქტის გამგეა.

— ჩხავერი არ იყო დასაკარგავი, ჩემო ბიძია, — გზადაგზა გვიყვება გალაქტიონი, — ჩვენი ბრალია, რომ ასე ხელაღებით უარვყავით, ზურგი ვაქციეთ. ახლა ყოველგვარი პირობაა შექმნილი ამ დალოცვილი ჯიშის მოსაშენებლად, მაგრამ რატომღაც ფართო ხასიათი ვერ მივეცით. სახელმწიფო მეურნეობა ერთია, მაგრამ მოსახლეობაც უნდა დავაინტერესოთ. მოვლა და მოფერება უნდა ჩხავერს, იქნებ კვლავ მოიბრუნოს გული.

1957 წელს შეიქმნა საჭამიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. პირველ წელს აქ 21,5 ჰექტარი დაბლარი ჩხავერი გააშენეს. ამჟამად მეურნეობაში 30 ჰექტარიდან მხოლოდ 15 ჰექტარია სრულმოსავლიანი.

რატომ არის ასე მცირე ფართობი? ოცი წლის განმავლობაში ნუთუ არ შეიძლებოდა გაზრდილიყო ჩხავერის ზვრები? პირველ წლებში მოინდომეს საჭამიასერელებმა, მაგრამ შემდეგ, როგორც ფაქტები ღაღადებენ, ეს ენთუზიაზმი თანდათან მინელდა.

რაიონის ახალი ხელმძღვანელობა მზრუნველობით მოეკიდა ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენა-შენარჩუნების საქმეს. ყოველგვარი ზომები მიიღეს, რათა საჭამიასერში სწრაფად გამრავლებულიყო ჩხავერი. სიტყვა საქმით დასტურდება — 1975-1976 წლებში მეურნეობაში უკვე 16 ჰექტარზე გაშენდა ჩხავერი.

ზურაბ კაცაძეს ენერგიული მუშაკისა და კარგი ორგანიზატორის სახელით იცნობენ რაიონში. 14 წლის განმავლობაში ბუკნარის კოლმეურნეობას ედგა სათავეში, შემდეგ — ერკეთისას. საჭამიასერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად მესამე წელია მუშაობს და უნარიანადაც უძღვება საქმეს. ამაზე მრავალდარგოვანი მეურნეობის საერთო მაჩვენებლებიც მეტყველებს, მაგრამ ჩვენ ამჯერად ჩხავერი გვაინტერესებს.

— აქამდე მხოლოდ დაბლარი ჩხავერი გვქონდა, — გვიხსნის ზურაბ კაცაძე, — ამ შემოდგომაზე კი მაღლარსაც გავაშენებთ. წიაღობანის უბანში შევარჩიეთ ტერიტორია — 10 ჰექტარი ტყისნაშალი, ლორღიანი ნიადაგი; აქ სინათლეც უხვად არის. საერთოდ, ჩხავერს უყვარს წყალგამტარი ნიადაგი, რაც ხელს უწყობს ჰაერიზაციას. ცოცხალ საყრდენებად შემოდგომაზე ორწლიან ბალამწარას ჩავყრით ხუთ-ხუთი მეტრის დაშორებით და ძირში ჩხავერს მივურგავთ. მეურნეობაში დაბლარი და მაღლარი ჩხავერის ზვრები უახლოეს პერიოდში 50 ჰექტარამდე გაიზრდება.

ხომ კარგად ვიცით, რაოდენ ჯაფას მოითხოვს ვაზი მევენახისაგან, მაგრამ ჩხავერი ერთიორად მეტ მოვლა-პატრონობას საჭიროებს. იგი ერთობ მგრძნობიარეა სოკოვან დაავადებათა მიმართ. ჭრაქისაგან განსაკუთრებით ძლიერ ავადდება ახალშენი ვენახები. ამიტომ პირველ-მეორე წელს ათჯერ მაინც ასხურებენ ბორდოს ხსნარს კოლოიდურ გოგირდთან ერთად. სხვა ჯიშის ვაზებისაგან განსხვავებით, ჩხავერი სისტემატურად მოითხოვს მწვანე ოპერაციებს. საძირედ ფილოქსერაგამძლე ჰიბრიდ „ბერლანდიერ რიპარია 5-ბბ"-ს იყენებენ. იგი თანამედროვე პირობებში ყველა ჯიშის ვაზისათვის არის რეკომენდებული საძირედ. ნამყენებს ბუკნარის სახელმწიფო ხეხილსანერგე მეურნეობაში ამზადებენ და საჭამიასერში ერთწლიან ნერგებს აგზავნიან. ვაზის წამლობა წარმოებს როგორც მექანიზებულად, ისე ხელით.

ჩხავერის ჯიშური თავისებურების გამო, დაბლარიცა და მაღლარიც მოითხოვს დიფერენციულ მიდგომას და სპეციალურ გასხვლას. თუ, მაგალითად, ცოლიკაური ყველაზე უხვ მოსავალს რამდენიმე კვირტზე იძლევა, ჩხავერი მოკლე ჰორიზონტალური კორდონის წესით ცხრა კვირტს მაინც საჭიროებს. ამიტომ, ჩხავერის ფორმირების დროს, ვაზზე მეტი რაოდენობის მრავალწლიან ნაზარდს და მასზე საფორმე-სანაყოფე რგოლებს ტოვებენ. ამის მეოხებით იზრდება ვაზის კვების არე.

დღევანდელ პირობებში, თუ კაცმა მოინდომა, დაკვირვებით და გულნებიერად თუ მიუდგა საქმეს, შეუძლია ჩხავერის საკმაოდ მაღალი მოსავალი მოიწიოს — დაბლარიდან ჰექტარზე საშუალოდ 80-100 ცენტნერი. მაშასადამე, ჩხავერის მცირე მოსავლიანობა მის ბიოლოგიურ თვისებას არ წარმოადგენს და ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, იგი საშუალოზე მეტ მოსავლიან ჯიშთა ჯგუფს განეკუთვნება.

ჩხავერი შეთვალებას სექტემბრიდან იწყებს და თუ თბილი, უნალექო ამინდები დაესწრო, ნოემბერში უკვე მოსაკრეფია. ამ პერიოდში ყურძნის შაქრიანობა — 22-24 პროცენტს აღწევს.

ჩხავერის პროდუქცია ძირითადად განკუთვნილია მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინის, ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და შუშხუნა ღვინის დასამზადებლად. ღვინოს ახასიათებს ალკოჰოლის მაღალი — 11-13 გრადუსამდე შემცველობა. ეს ყველაფერი ყურძნის განსაკუთრებული უნარიდან გამომდინარეობს — მას ახასიათებს შაქრის



# გულითადად გმადლობთ!

ანზორ გოგოლაძის ფოტო



წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობა „ენძელა".

ინდივიდუალური კერვის ატელიეში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქება ჩხავერისა

დიდი რაოდენობით დაგროვება და ამავე დროს ინარჩუნებს მაღალ მჟავიანობას.

ჩხავერის კრეფას ნოემბრიდან იწყებენ. ძველად კი, თუ კლიმატური პირობები იძლეოდა ამის საშუალებას, დეკემბერშიც გრძელდებოდა რთველი. დაყოვნება ყურძნის დაჩამიჩებას იწვევდა, მარცვალში წყალი ორთქლდებოდა და მდიდრდებოდა ნახშირწყლებითა და შაქრით. ეს კი იძლეოდა საუკეთესო სალვინე მასალას. საწნახელში ერთ კვირას გრძელდებოდა დუღილის პროცესი. დაბალი ტემპერატურისა და წარმოშობილი ალკოჰოლის გავლენით დუნდებოდა საფუარის მოქმედება. ჭურში ჩასხმული, ხის სარქველითა და ალიზი მიწით დაგოზილი ღვინომასალა მთელი წლის მანძილზე ინარჩუნებდა ნახშირორჟანგის დიდ რაოდენობას. ღვინო ხასიათდება სასიამოვნო სიტკბოთი, მიმზიდველი მჟავიანობით, განსაკუთრებული არომატით.

ჩხავერის სადუღრად თავიდანვე . საწნახელს იყენებდნენ. მას ცაცხვის ხისაგან ამზადებდნენ, მრგვალი ფორმით და შევიწროებული ზედაპირით. ასეთი ჭურჭელი ამცირებს მადუღარი მასის ზედაპირის ჰაერთან შეხებას და დურდოს ჩაწელას.

საყურადღებოა თვით ყურძნის გამძლეობაც. ვაზს ლერწებს ჩხებად აჰრიდნენ და სხვენზე ჩამოჰკიდებდნენ. მარცვლები სადხალამათად ინახებოდა ადრე გაზაფხულამდე. იქნებ ჯიშის სახელი „ჩხავერიც“ აქედან არის წარმოშობილი?!

— მე მახსოვს ერთი კაცი, ალექსანდრე თავამაიშვილი, მახარაძის რაიონიდან, — იხსენებს გალაქტიონ ცინცაძე, — 116 წლისა იყო, რომ მიიცვალა. ჩხავერის დიდი ტრფიალი იყო. ღვინო კია არა, წამალია ეს დალოცვილიო, იტყოდა. მახსოვს მისი მონაყოლი: ერთი მარტოხელა ბიძა მყავდა. მაშინ ოდა-სახლები ნაკლებად იყო და ფაცხაში ცხოვრობდა. ერთხელ, დილით შევუარე ამბის საკითხავად და ლოგინში დამხვდა. სახეზე ეტყობოდა, რომ მაღალი სიცხე ჰქონდა. ჩემი მისვლა გაეხარდა. მითხრა, ეგერ კუთხეში ფიჩხოური დოქი დგას, აიღე თოხი, კოპე, წადი მარანში, დიდი ჭური მოხადე სუფთად, მიწა არ ჩაგიცვივდეს ჭურში, აავსე ეს ფიჩხოური და მომიტანეო. კოპის გარეცხვა არ დაგავიწყდესო, მომაძახა კარებში გასვლისას. სავსე ჭურს მოვხადე თუ არა, ჩხავერმა მზესავით ამოანათა, ჩინჩხლები ამოყარა და სახეში შემომაფრქვია, ირგვლივ ისეთი სურნელება დადგა, რომ გამაბრუა, სულმა წამძლია და ერთი კოპე იქვე გამოვცალე — ბიძაჩემი ვადლეგრძელე. მერე ფიჩხოური ავავსე და ბიძაჩემს წავუღე. საღამოს ისევ შევუარე. ის დოქი დაეცალა და გულის ძილით ეძინა გახვითქულს. ქვესშაგები ოფლით იყო გაწუწული. მეორე დღეს ისევ მივაკითხე და ხეზე დავინახე გასული — თხმელას სხეპდა. ასეთი ძალა აქვს ამ დალოცვილსო, იტყოდა ალექსანდრე და ჩხავერით სავსე წელში გამოყვანილ ჭიქას მზეზე გახედავდა.

— თუ მართლა წამალია, გავგზავნოთ მაშინ აფთიაქში, ა? — გაექილიკა ანანია დევიძე.

— მაინც მასეა საქმე, ხომ ხედავ, რომ წამლად არის საძებნი?!

შარშან 15 ტონა ჩხავერი მოკრიფეს საჭამიასელებმა. დაბალი მოსავალი უამინდობამ განაპირობა. წელს კი იმედიანად დაიწყო ზაფხული და მოწინავე მევენახეები ოთარ კვინტრაძე, ავთანდილ თოდუა, ჯუმბერ ზაქარეიშვილი, კაპიტონ ჩიგოგიძე, ვლადიმერ ზაქარეიშვილი, გიორგი ახალაძე, ნორა ზაქარეიშვილი და სხვებ. ხაცდელს არ აკლებენ, რათა მევენახის გამრჯე ხელი არ მოინაკლისოს ვაზმა.

მზრუნველობით დასტრიალებენ ნაკვეთებს მთავარი აგრონომი ანზორ კვინტრაძე, პირველი აგროგანყოფილების უფროსი ჯუმბერ დოლიძე, ბრიგადირები დიმიტრი და ტარიელ დუდუჩავები და რეზო ბოცვაძე. სწორედ ამ აგროგანყოფილებას და ბრიგადებს აქვთ გაპიროვნებული ჩხავერის ზვრები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ვაზის უნიკალური ჯიშების აღდგენა-მოშენების საქმეს. დადგენილებაც მიიღეს ამის თაობაზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯები არის გადადგმული, მაგრამ ერთეულების ენთუზიაზმი საქმეს არ უშველის, თუ მოსახლეობაც ფართოდ არ ჩაება ამ საქმეში.

საჭიროა ჩხავერის გამასივება.

მაღლარი ჩხავერის მოშენება იმითაც არის ხელსაყრელი, რომ ცოცხალ საყრდენს მოითხოვს. ვაზის ამ ჯიშისათვის განსაკუთრებით კარგია ბალი, ბალამწარა, კავკასიური ხურმა (ნაყოფის მომცემი მცენარეები). მასივების გატყიანება კი ახლა მწვავედ დგას დღის წესრიგში. ამ საქმესთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ჩვენი ფლორასა და ფაუნას შემდგომი აღორძინება, კლიმატის გარბილება, ნიადაგის დაცვა ეროზიისაგან, მოსავლის სიუხვე, პროდუქციის სიიაფე და ათასი სიკეთე.

ისიც უნდა აღინიშნოს, ჩხავერის ყურძენს კილოგრამს საშუალოდ 1 მანეთად და 20 კაპიკად იბარებს სახელმწიფო.

...და ისევ გალაქტიონ ცინცაძის სიტყვებით ვამთავრებ ამ წერილს:

— არ არის დასაკარგავი, ჩემო ბიძიკო, ჩხავერი. უნდა მოვუაროთ, მოვეფეროთ, იქნებ კვლავ მოიბრუნოს გული ჩვენსკენ!

ჰენრი კობიძე

---

„ჩვენ თქვენი სტუმართმოყვარული მომსახურების ტყვეები ვართ. გმადლობთ, გულითადად გმადლობთ!“ ეს სიტყვები პირველი კლასის მფრინავებმა ა. პეტროვმა და დ. სტეპანოვმა წყალტუბოს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის „ენძელას“ თანამშრომლებს მიუძღვნეს.

გადაათვალიერეთ შთაბეჭდილების წიგნი და მსგავსი ჩანაწერები ბევრი შეგხვდებათ.

ახალი, ნატიფი გემოვნებით აშენებული მომსახურების სახლი ყოველთვის გულთბილად ხვდება მომსვლელებს. მომხმარებლებით სავსეა ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვისა და ტანსაცმლის ატელიები, ქალთა და მამაკაცთა სალონები, კოსმეტიკის კაბინეტი...

საქმის მცოდნე, გამრჯე და ხელგაწაფული ხელოსნები ძალ-ღონეს არ ზოგავენ სანიმუშო მომსახურებისათვის; ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წყალტუბოში ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან თუ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სამკურნალოდ ჩამოსული ადამიანები საყოფაცხოვრებო მომსახურებითაც კმაყოფილნი დარჩნენ.

წყალტუბოს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო, რომელსაც სამი წელია ხელმძღვანელობს გამოცდილი მუშაკი გივი იოსელიანი, ერთ-ერთი მოწინავეა მთელს რესპუბლიკაში.

სამმართველოში შემავალი ყველა ობიექტის თვალსაჩინო მიღწევებზე



№ 1 ატელიეს ტანსაცმლის მთავარი გამომჭრელი გივი ხვიჩია.

# ცხელ-ცხელი ამბები

ცხელ-ცხელი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოლიათი თევზი

იაპონიის ზღვაში ამას წინათ დაიჭირეს უზარმაზარი თევზი, რომლის სიგრძე 3 მეტრი იყო, სიგანე — 2 მეტრამდე.

როგორც წყნარი ოკეანის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ირწმუნებიან, იაპონიის ზღვაში ასეთი დიდი თევზი ჯერ არასოდეს არ დაუჭერიათ.

## ახალი აეროვაგზლები

საბჭოთა კავშირში შარშან აეროფლოტის თვითმფრინავებისათვის 300-ზე მეტი ახალი რეგულარული ტრასა გაიხსნა.

ამას წინათ მწყობრში ჩადგა ახალი კეთილმოწყობილი აეროვაგზლები მინსკში, ტაშკენტში, ანაპაში, ორენბურგში, ვლადივოსტოკში.

## მოსკოვი — 80

მოსკოვში დაიწყო ახალი ტელერადიოკომპლექსის მშენებლობა, საიდანაც იწარმოებს გადაცემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 1980 წლის მსოფლიო ოლიმპიადის დროს.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ახალ კომპლექსს გამოიყენებენ ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადასაცემად ქვეყნის შორეულ რაიონებში.

## ამიერკავკასია — უკრაინა

ამ რამდენიმე ხნის წინათ გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში სტარტი მიეცა ჩვენ ქვეყანაში მტრედების პირველ გადაფრენას ტრასაზე „ამიერკავკასია-უკრაინა".

ხარკოველმა მტრედების მწვრთნელმა პეტრე დემიდენკომ ჰაერში აუშვა 17 საფოსტო მტრედი.

სამი დღის შემდეგ, როცა მწვრთნელი უკრაინაში დაბრუნდა, რამდენიმე მტრედი უკვე შინ დახვდა.

## 20 ათასი ტონა

მოძმე სომხეთში, აშტანაქსის რაიონში დაიწყო რესპუბლიკაში ყველაზე დიდი ხეხილის ბაღის გაშენება. ეს ხეხილის ბაღი 1.000 ჰექტარ ფართობს დაიკავებს.

მეათე ხუთწლედის ბოლოს ბაღი 20.000 ტონაზე მეტ მაღალხარისხოვან ვაშლს მიაწვდის მშრომელებს.

## იშვიათი შემთხვევა

ქალაქ კაუნასის ზოოპარკში ამას წინათ ვეფხვ დუბისას სამი ბოკვერი შეეძინა.

ზოოპარკის პირობებში, მითუმეტეს ასეთ გეოგრაფიულ სარტყელზე, ვეფხვის გამრავლება მეტად იშვიათი შემთხვევაა.

## პირველად ჩვენს ქვეყანაში

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიხსნა ჰელიოაპარატურის ქარხანა.

ქარხანა გამოუშვებს ჰელიოსამზარეულოებს, საშრობებს, წყლის სათბობებს, საქვაბეებსა და სხვა მოწყობილობებს, რომლებიც მზის ენერგიით იმუშავებენ.

## „ატილა"

ამას წინათ საბჭოთა კავშირში პირველად განხორციელდა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ატილას" დადგმა.

დიდი კომპოზიტორის ოპერა ტალინის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში აჟღერდა.

## ბუნების კალენდარი

მოძმე ყირგიზეთში ბიოლოგებმა დაამთავრეს „ყირგიზეთის ბუნების კალენდრის" შედგენა, რომელშიც მრავალი წლის დაკვირვებებისა და გამოკვლევების შედეგებია თავმოყრილი.

აღსანიშნავია, რომ ყირგიზეთში ამჟამად გავრცელებულია 7 ათასზე მეტი მცენარის სახეობა, 68 სახეობის ძუძუმწოვარა, 300-ზე მეტი სახეობის ჩიტი...

## უმძლავრესი ელექტრონათურები

საბჭოთა კავშირში დაამზადეს სტადიონებისა და სხვა სპორტული ნაგებობების გასანათებელი უმძლავრესი ელექტრონათურები.

ამ ნათურების შუქი ძალზე უახლოვდება დღის სინათლეს.

1980 წელს, როცა მოსკოვში ჩატარდება მსოფლიო ოლიმპიადა, სპორტულ შეჯიბრებათა გადმოცემა ტელევიზიით ამ ახალი ნათურების გამოყენებით განხორციელდება.

## საინტერესო აღმოჩენა

საბჭოთა სწავლულმა რ. უდაჩინმა ამას წინათ პამირის მიდამოებში აღმოაჩინა ყინვაგამძლე და საადრეო ხორბლის რამდენიმე სახესხვაობა.

ამ ახალმა აღმოჩენამ მეცნიერებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

## ფონდი შეივსო

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში 48 ათასზე მეტი ხელნაწერი და ძველი წიგნი ინახება: აზერბაიჯანულ, ტაჯიკურ, ქართულ, სომხურ, არაბულ, თურქულ და სხვა ენებზე.

ამ ფონდს ახლახან 400 ახალი ძვირფასი ეგზემპლარი შეემატა.

ცხელ-ცხელი ამბები



მამაკაცთა სალონში.

ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ხუთწლედის პირველ წელს გამარჯვებულნი გამოვიდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრეს.

გასულ სამეურნეო წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების მთელმა კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებული 1 მილიონის ნაცვლად რაიონში 1 მილიონ 800 ათასი მანეთის სხვადასხვა სახის მომსახურება გაუწია მშრომელებს. წყალტუბოელებმა გეგმის ზევით 135 ათასი მანეთი მოგება მისცეს სამშობლოს.

ქალაქში არსებულ სამ კომბინატში ჩატარდა მთლიანი რეკონსტრუქცია, სოფლების მშრომელთათვის გაიხსნა კომპლექსური მიმღები პუნქტები; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები აღიჭურვა ახალი მანქანა-დანადგარებით; კადრების გონივრულმა შერჩევამ, შრომისნაყოფიერების ზრდამ, პასუხისმგებლობისა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის ამაღლებამ მტკიცე საფუძველი ჩაყარა ახალი წარმატებებისათვის.

წყალტუბოს რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კოლექტივს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ უკეთ იშრომოს, ახალი თვალსაჩინო წარმატებებით შეეგებოს დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს.

ეთერ ჩილაჩავა.








ეროვნული ბიბლიოთეკა

□ სოციალისტური შრომის გმირი ბორის ვაშაკიძე.

□ ახალი მოდელი.

□ ავტომობილები მზადაა.

□ საშტამპო საამქროში.

ვანო დვალის ფოტო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

☐ ხატვის გაკვეთილზე.
☐ ცნობისმოყვარენი.





☐ უშიშარი.
☐ სადილზე.
☐ ცეკვა „ქართული".

ვიქტორ ჯეირანელის ფოტო.





ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჭორიკანები.

# ყველაფერი ბავშვებისათვის

თოჯინების ძილის დრო



პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა.

ბავშვი! — ჩვენი სიხარული, ჩვენი სიცოცხლის ყვავილი, დედასამშობლოს ნათელი იმედი და მომავალი.

ბავშვების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, მშვიდობის დაცვაა, მათ ჯანმრთელობაზე, გართობა-დასვენებაზე, სწავლასა და სამშობლოს საამაყო შვილებად აღზრდაზე შეუნელებელი ზრუნვაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ მილიონობით ბავშვი იღუპება შიმშილისა და ავადმყოფობისაგან; მრავალი ბავშვი ჯერ კიდევ იძულებულია სკოლაში სწავლის ნაცვლად ფიზიკურად იშრომოს და წვალებით მოიპოვოს ლუკმა არსობისა.

გახედეთ, უამრავი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღებითა და ბაგებით, ამბულატორიებითა და დასასვენებელი სახლებით, პიონერ-მოსწავლეთა ბიბლიოთეკებით, თეატრებითა და სასახლეებით მოფენილა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო.

ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ის დიდი ზრუნვა, სისათუთე, ის დიდი სიყვარული, ყურადღება და ამაგი, რითაც ჩვენი ბავშვები არიან გარემოსილნი.

ჟურნალ „დროშის" ფოტოკორესპონდენტი ვიქტორ ჯეირანელი ამას წინათ ეწვია თბილისის 25-ე ბაგა-ბაღს და ფოტოფირზე აღბეჭდა ჩვენი ბავშვების ცხოვრების რამდენიმე ნიშანდობლივი ეპიზოდი.

გთავაზობთ ამ ფოტოსურათებს.

# ფეხბურთის მოყვარულებს

1918 წელი — ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხანაგურ მატჩში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს პეტროგრადისა და მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდები (1:9).

1922 წელი — ჩვენს ქვეყანაში პირველად მოეწყო ოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქებისა და ოლქების ფეხბურთელები. გაიმარჯვა მოსკოვის ნაკრებმა.

1923 წელი — საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებმა სკანდინავიაში მოაწყეს პირველი ტურნე. 15 მატჩი მოიგეს და 3 ფრედ დაამთავრეს.

1924 წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი გამართა თურქეთში. ჩვენმა ფეხბურთელებმა თურქეთის ნაკრებს მოუგეს ანგარიშით 3;0.

1925 წელი — შეიქნა თბილისის „დინამოს" გუნდი.

1927 წელი — შეიქნა კიევის „დინამოს" გუნდი.

1929 წელი — საბჭოთა კავშირში პირველად მოეწყო ფეხბურთის მატჩის რადიოტრანსლაცია.

1934 წელი — შეიქნა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სექცია (1959 წლიდან ფეხბურთის ფედერაცია).

1936 წელი — საფეხბურთო კლუბებს შორის პირველად გათამაშდა საბჭოთა კავშირის პირველობა და საბჭოთა კავშირის თასი.

ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონი გახდა მოსკოვის „დინამო", თასი მოსკოვის „ლოკომოტივმა" მოიპოვა.

1937 წელი — ფეხბურთელთა შორის ნ. სტაროსტინმა პირველმა მიიღო ლენინის ორდენი.

1937 წელი — შეიქნა ერევნის „დინამო" (ამჟამად „არარატი").

1938 წელი — თბილისში პირველად მოეწყო მწვრთნელების საკავშირო შეკრება.

1938 წელი — საბჭოთა კავშირში პირველად გამოქვეყნდა საუკეთესო ფეხბურთელების სია. ამ სიაში თბილისის „დინამოდან" მოხვდნენ: ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ვ. ბერეჟნოი.

1946 წელი — საბჭოთა კავშირი შევიდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში.

1949 წელი — პირველად მოეწყო ფეხბურთის მატჩის სატელევიზიო ტრანსლაცია.

1952 წელი — საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.

1957 წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველად მიიღო მონაწილეობა მსოფლიო პირველობაში.

1960 წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიპოვა ევროპის თასი (გუნდში თამაშობდნენ მ. მესხი და გ. ჩოხელი).

1961 წელი — ლ. იაშინი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და „ოქროს ბურთის" პრიზით დაასაჩუქრეს.

1964 წელი — თბილისის „დინამო" გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1966 წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

1968 წელი — ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩში მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირიდან თამაშობდნენ: ლ. იაშინი, ა. შესტერნევი, ს. მეტრეველი.

# ჩვენი იუბილარები



ზეიმს გიხდიან სიხარულით
ოსტატს ხელოვანს,
შემოგხარიან ტკბილ
მომღერალს და სახელოვანს.
კიდევ იმღერე შენებურად,
კარლო მორჩილო,
სანამ ცოცხალ ხარ, სიბერეს
არ დაემორჩილო.

სანდრო შანშიაშვილი

მხურვალედ გეხვევი მოძმე საქართველოს [illegible] ხელოვან პოეტს შენი დაბადების სამოცდაათი წლისთავზე.

დიდი ხანია მიყვარს შენი ლექსები და პოემები, რომლებშიც ჩვენი დღეები განუმეორებელი ფერადოვნებით აისახება.

მოხარული ვარ, რომ ისეთივე შთაგონებით წერ დნეპრის ნაპირებზე, როგორც შენი მტკვრის ნაპირებზე. იყავი ჯანმრთელად, მხიარულად, ისეთივე მრავალხმიანი, როგორც ჩვენ გვიყვარხარ.

შენი ლეონიდ ნოვიჩენკო

## კარლო კალაძე 70

გილოცავთ. მდაბლად გიკრავთ თავს გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, შემოქმედებით სიხარულს, საყვარელ მეგობარს, შესანიშნავ პოეტს, შესანიშნავი საქართველოს კეთილშობილ ადამიანს.

მიკოლა ბაჟანი

ძვირფასო მეგობარო, კარლო!

რაკი შესაძლებლობა არა მაქვს პირადად გადაგეხვიო შენი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ესოდენ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ საღამოზე, მინდა გითხრა შენ, გაზაფხულის მომღერალს, რომელიც „ღიმილით შეჰყურებ ჭადარა სიჭაბუკეს“, რომ ჩემთვის ხარ კეთილშობილი წარმომადგენელი ქართველ პოეტთა იმ სახელოვანი პლეადისა, რომელმაც დიდი გზა განვლო და ახალგაზრდა თაობებს სასწავლად და სამაგალითოდ დაუვიწყარი ნაწარმოებები დაუტოვა.

შენ მგზნებარე გამომხატველი ხარ საბჭოთა კავშირის პოეზიათა მეგობრობისა; მრავალ პოეტთან მეგობრული ძაფებით დაკავშირებული, შენ ხარ სიამაყე მთელი ჩვენი საბჭოური პოეზიისა. არასოდეს მიეცემა დავიწყებას ის, რომ შენ იყავი ერთი პირველთაგანი, ვინც მხარი დაუჭირა ლექსის განახლებას; არასოდეს მიეცემა დავიწყებას ის, რაც შენ გააკეთე შენი ლირიკითა და რევოლუციური რომანტიზმით, რისთვისაც სახალხო აღიარება დაიმსახურე.

მახარებს შენი ნიჭის გაფურჩქვნა და გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ნიკოლოზ ტიხონოვი

ძვირფასო კარლო რაჟდენის ძევ, მრავალი წლის სიცოცხლე შენ და შენს მშვენიერ პოეზიას. გულითადად გილოცავ. მეგობრულად გეხვევი.

მარად შენი ვლადიმერ ორლოვი

მეგობრულ სალამს ვუთვლი სახელოვან იუბილარს, თანამედროვეობის გამოჩენილ პოეტს, საყვარელ მეგობარს. ვუსურვებ მრავალი წლის ჯანმრთელობას.

უაისინ ყულიევი

ძვირფასო მეგობარო, კარლო, აი, შენც გახდი სამოცდაათი წლის მარად ახალგაზრდა პოეტი. ამიტომაც გვიყვარხარ არა მარტო ჩვენ, აზერბაიჯანელ მწერლებს, არამედ მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს პოეზიისა. ძვირფასო კარლო, გულითადად გილოცავ შენ, შესანიშნავ პოეტს, მეგობარს სახელოვან სამოცდაათი წლისთავს, გისურვებ ჯანმრთელობას, დიდ ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს. სიყვარულით გეხვევი და გკოცნი.

სულეიმან რუსტამი

### ე ნ გ უ რ ი

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ტალღების ლეწვა, —
და ერთი სიტყვა მეც გადავძახე, —
ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ!

— გაგირღვევია კლდეების სისქე,
როგორღა გინდა მთებს უერთგულო,
სამურზაყანოს მიწიდან — ზღვისკენ
თავდავიწყებით გარბი, ენგურო!

იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მთებიდან გასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!..

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ჩქარი ფერხული.
ჩამოღარვია მურზაყანს სახე
და ღვართქაფებად მოჰქუხს ენგური!

მთა შეფოთლილი ახლაც მაგონებს,
რომ ტანზე ჯაჭვის პერანგი ეცვა,
ენგურმა ხელი ჰკრა და მთა-გორებს
ესმით ამ ჯაჭვის აშკარა ლეწვა...

ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან,
სანამ აქ ფეხზე დგას მთების ალყა,
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!

„დროშა“ ულოცავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი იუბილარები



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვა უფროს მეგობარს

ბაგრატ შინკუბამ თავისი ხალხის საყოველთაო სიყვარული და აღიარება მოიპოვა, როგორც პიროვნებამ, როგორც საზოგადო მოღვაწემ და რაც მთავარია, როგორც აფხაზეთის დიდმა ეროვნულმა პოეტმა. ბაგრატ შინკუბა დიდ პოეტად სცნო აფხაზური ლიტერატურის ყველა თაობამ. ეს ფაქტი მწერლისთვის მართლაც დიდი ბედნიერებაა, თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ პოეტებს საერთოდ უჭირთ სხვათა პოეტური უპირატესობის აღიარება.

ბაგრატ შინკუბას პიროვნებასა და შემოქმედებაში შენივთებულია აფხაზი ხალხის ყველა კარგი თვისება. მის სტრიქონებში მთელი აფხაზეთია გაცოცხლებული თავისი ზღაპრული ბუნებით, ისტორიული ტკივილებით, ზნე-ჩვეულებით, თანამედროვეობის მჩქეფარე რიტმებით, დღევანდელობის სულიერი მოთხოვნილებებით. პოეტმა შესძლო ღრმად გაეხსნა აფხაზი კაცის ხასიათი სტუმარ-მასპინძლობის ღვთაებრივი კულტითა და რაინდული კეთილშობილებით.

ბაგრატ შინკუბას პოეზია ერთნაირად გასაგები და ახლობელია, როგორც სწავლულისათვის, ისე უბრალო გლეხკაცისათვის. ეს თვისება ჭეშმარიტი პოეზიის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია. ბაგრატ შინკუბა ქართულ კულტურას ნაზიარები კაცია. იგი ჩვენი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების უბადლო მთარგმნელიც გახლავთ. მას, როგორც მამულიშვილსა და ბრძენკაცს, ძალიან კარგად ესმის, რომ ხალხებისათვის სიკეთე მხოლოდ ურთიერთგაგებას, ურთიერთპატივისცემასა და აღიარებას მოაქვს. პატრიოტი პოეტიც ამ კეთილშობილური მისიის ტრიბუნი და გულმხურვალე მესაყვირეა.

ყოველთვის მიხარია მასთან შეხვედრა — პირადად შევხვდები თუ წიგნისა და ბწკარედის საშუალებით; მე მისი პოეზიის რამდენიმე ათასი სტრიქონი ვთარგმნე, მასთან შეხვედრა მაღალი კაცობისა და მაღალი პოეზიის გაკვეთილებია.

აფხაზები საერთოდ ფეხზე მდგარი უსმენენ ან ელაპარაკებიან ასაკით უფროსებს და ამით გამოხატავენ მათდამი პატივისცემას.

მეც აფხაზური წესის თანახმად ფეხზე ადგომით მივესალმები აფხაზეთის დიდ პოეტს, დიმიტრი გულიას პრემიის ლაურეატს, ერისკაცს ბატონ ბაგრატს, მივულოცავ დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლესთან ერთად ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

შოთა ნიშნიანიძე

# ბაგრატ შინკუბა 60

ბაგრატ შინკუბა

### ბალადა დიდებულ საჩუქარზე

შინ დაბრუნდა ბადრა დილით
და ძლივს ახელს დაღლილ თვალებს,
გადაჰყურებს მხრებგაშლილი
თავისუფალ მშობელ მხარეს.
მტერს ებრძოდა, სისხლი ღვარა
კერაზელთა* რაზმის ძმებთან,
მეგობრების გასახარად
ხმალს და ტყვიას აელვებდა.
ეყრებოდათ მთად და ველად
ნალმი ღრუბლის ნაფლეთებად,
მტერს კოდორზე ვერ უშველა
დიდი ხიდის აფეთქებამ,
ვერც ათონის ვიწრო ყელმა,
ბზიფთან კლდეთა გადახაფრვამ,
რაზმი მტრისთვის იყო ელვა, —
წითელ რაზმთან იყო ბადრა.

— ერთხელ დიდმა მეთაურმა
მიხმო, — თბილად ჰყვება ბადრა, —
სიხარული იგრძნო გულმა,
შვებით სახე გამებადრა.
მიხმო, დიდი საჩუქარი
მომაწოდა, გულით მიძღვნა,
მეგობრებო, ეს ამბავი
შეიძლება დამევიწყა?!..
ნაომარ და დაკოჟრებულ
ხელს შეახებს გულის ჯიბეს,
და სათუთად გამოხვეულ
ძღვენს ფაქიზად ამოიღებს.
გაკვირვებით ყველა უცქერს
სურათს ბრძენის, ხალხთა მხსნელის,
თითქოს უნდათ — ყველამ უცებ
მას გაანდოს სადარდელი.
— ლენინია! — ამბობს ბადრა
და სიხარულს ველარ მალავს, —
მოგვევლინა ბაირახტრად,
ახალ ქვეყნის წინამძღვარად...
სად დაჰკიდებს ბადრა სურათს?
ერთადერთი ჰქონდა ფაცხა,
მტერმა, ავმა, თავგასულმა,
ცეცხლს მისცა და დაუნაცრა.
მარგილიც კი აღარ შერჩა,
აქვს მიწა და სუნთქავს ლაღად,
ვინ უწოდებს ბადრას ბეჩავს, —
დარდს და ვარამს გადალახავს...
უკან დარჩა ბევრი წელი,
ბევრი გაზაფხული გაქრა,
მოხუცდა და თეთრი წვერი
დაეყარა მკერდზე ბადრას.
თუმც სიბერეს სულ არ იმჩნევს,
დააბიჯებს ისევ ლაღად,
გაუხდიათ გოგო-ბიჭებს
თექვსმეტ შვილიშვილის პაპად.
და მის ოდას, თვალებნათელს,
ნაჩუქარი ძღვენი შვენის.
ბადრა თვალებმოკიაფე
ძველ მეგობარს უცქერს — ლენინს.
უხარიათ შთამომავალთ,
რომ პაპა ჰყავთ მიხაბაძი,
რომ სიხარულს კიდევ მრავალ
წელს მოუტანს დიდი განძი.

თარგმნა რევაზ მარგიანმა

* კერაზი — რევოლუციონერ გლეხთა რაზმი, რომელიც მოქმედებდა აფხაზეთში 1917-1921 წლებში.

„დროშა"-ს ულოცავს



# ქორწილი ნაკრაში

ელიზბარ უბილავა

მოთხრობა

ელიზბარ უბილავას 60 წელი შეუსრულდა. იგი წლების განმავლობაში ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში განყოფილების გამგედ მუშაობდა. ჩვენი ჟურნალის კოლექტივი მხურვალედ ულოცავს ძვირფას ელიზბარს დაბადების 60 წელს, უსურვებს ჯანმრთელობას და წარმატებებს სამწერლო ასპარეზზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტავლერის მწვერვალის დალაშქვრის შემდეგ მთამსვლელთა ჯგუფი ყინულოვანი ბილიკებით ძირს ეშვებოდა. ისინი ისწრაფვოდნენ დღე გაევლოთ ურთულესი ციცაბო კლდეები და როგორმე შუაღამემდე ჩაეღწიათ სოფელ ნაკრამდე. მთამსვლელებს ნაკრელი ქორა მახვშის — დათა გვარმიანის ვაჟი ვასია წინამძღვრობდა. კავკასიონის სამ მწვერვალს — შტავლერს, კვარმაშსა და ცალმაგს შორის მოქცეული სვანთა პატარა სოფელი ნაკრა თავისი ნაშიერის გამარჯვებას ზეიმობდა. მამაცი სვანები ცაში ისროდნენ ქუდებსა და ანთებულ მაშხალებს. სიმღერით ეგებებოდნენ გამარჯვებულ სამეულს. მთამსვლელები კი ბენგალის ცეცხლით ეხმიანებოდნენ მათ შესახვედრად ფეხზე წამოშლილ სოფელს.

მუჯუროსა და წერაყინს მინდობილი ვასია ხანდახან დროს პოულობდა მოწყურებული თვალით გადმოეხედა მშობლიური სოფლისათვის და სკებივით ერთმანეთზე მიჯრილ ქვის რუხ შენობებს შორის ლევან დადეშქელიანის საგვარეულო კოშკიც დაელანდა, საიდანაც ვინ უწყის, მისი საოცნებო დანდუს თვალები იმზირებოდნენ.

დანდუს თვალების ეშხმა ასტყორცნა ვასია გვარმიანი შტავლერის მრისხანე მწვერვალზე და ახლა მისივე თვალების ელვა უნათებდა გზას სამშვიდობოსკენ მომავალ ჭაბუკს.

ქორა მახვშის ასულები — ცხრა დანი ერთადერთ ძმას ვასიას შეჭყურებდნენ იმედის თვალით, მასზე ამოსდიოდათ მზე და ახლა, როცა ვასია სახიფათო ბილიკით მოიკვლევდა გზას, ღმერთს ევედრებოდნენ მის მშვიდობიანად დაბრუნებას. არანაკლები ინტერესით ადევნებდა თვალს ვასიას მთამსვლელურ ნაბიჯებს ლევან დადეშქელიანის ქვრივი — ნინო ვიბლიანი და ნინოს ერთადერთი ასული დანდუ.

ლევანისა და დათას ოჯახებს შორის გაბმული უხილავი ძაფი მთასვლელურმა აზარტმა მთელი სოფლისათვის საცნაური გახადა. თუ რამდენიმე დღის წინათ დანდუსა და ვასიას მიჯნურობაზე მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ, ახლა მთელი სოფელი ალაპარაკდა ამ ბედნიერ წყვილზე.

ივლისის ალხით გათანგულ სოფელს ნელ-ნელა საღამოს ბინდი ეპარებოდა. ბენგალის ცეცხლი კი კვლავ შორს, თოვლით შევერცხლილი მთების ლადალუდებში ჭიატობდა.

— დადეშქელიანებისას წავიდეთ. ჩვენი საპატარძლო დანდუც ვინახულოთ და ვასიასაც იქ შევეგებოთ! — აბუხუნდა ქორა მახვში და ქალიშვილებს უბრძანა, დროულად დაეჭირათ სამგზავრო თადარიგი.

— წავიდეთ! — მამას სხვებზე ადრე გამოეხმაურა უფროსი ქალიშვილი სალომე, — აქ რაღას ვუცდით. მთიდან დაშვებულ ალპინისტებს პირველად ლევან დადეშქელიანის ოჯახი უმასპინძლებს და შესაძლოა, ბიჭებმა ამაღამ ჩვენამდე ველარც კი მოაღწიონ.

— მაგაზე აქამდეც უნდა გვეფიქრა. რაკი გვიან მოვეგეთ გონს, ახლა მაინც ავჩქარდეთ, სანამ მთლად არ შებინდებულა, გზას გავუდგეთ! — გვარმიანების ოჯახმა ერთიანი გადაწყვეტილება მიიღო.

ქამარ-ხანჯლით წელდამშვენებული და მხარზე ჯოხგადებული ქორა მახვში ამაყად გაუძღვა ქალიშვილებს. ისინი უმცროს-უფროსობის კვალობაზე შეუყვნენ საცალფეხო ბილიკს სამკალი პურის ყანაში. მამას პირველი სალომე მიუყვებოდა — უფროსი ქალიშვილი, დედით ობოლი, ცხრა და-ძმის აღმზრდელი. სალომეს უკან მიდიოდა ეფრო მერე ბედუ, თამარ, ჩათუ, ტაცი, ნატალია, ანეტა და სულ ბოლოს ყველაზე უმცროსი რადიუი მიირწეოდა.

— მეტი მაყრიონი აღარც გვინდა, ბარემ ქორწილიც ამაღამ გადავიხადოთ! — შეეხუმრა წვერშეჟღალებული დათა თავის ჭრელჭრულაკაბიან გოგონებს.

— მაშინ საკლავიც უნდა წამოგვეყვანა, — ხუმრობითვე შეესიტყვა ყველაზე ბოლოს მიმავალი რადიუი.

— ეს დადეშქელიანების შეურაცხყოფა იქნებოდა, ნინოს საკლავს რა გამოულევს?! მერე რა რომ ქვრივია, რომელი ვაჟკაცი შეედრება შრომასა და გარჯაში! ამას გარდა, ირგვლივ იმდენი რძალ-მული და ნათესაობა ახვევია.

— რა ამის პასუხია, მაგრამ საქორწილო კაბა რათ არ წამოვიღეთ? — კვლავ გაისმა ქარავნის ბოლოდან რადიუს ხმა.

— გეძინა? თბილისიდან ჩამოსვლის დღესვე მიურბენინა ვასიამ თავის დედოფალს გაქათქათებული კაბა! — გამოეპასუხა რადიუს მის წინ მიმავალი ანეტა.

—რაკი ყველაფერი რიგზე ყოფილა, ისღა დაგვრჩენია, ავჩქარდეთ, დროზე მივეშველოთ ოჯახს საქორწილო სამზადისში, — მოუწოდა მუდამ თადარიგიანმა. უმცროს-უფროსებისთვის გადაგებულმა სალომემ და თავადაც ნაბიჯს აუჩქარა.

ელნათურებით განათებულ სოფელში მამა-შვილებმა მალე გალიეს არც თუ ისე შორი გზა და დანდუს სახლს მიადგნენ.

ძაღლების ყეფაზე სტუმრებს გამოეგება სახემომღიმარი, ცისფერთვალება გოგონა. მას შველივით მოქნილ ტანზე შნოიანად ეცვა მერინოსის ძაფით ნაქსოვი ყავისფერი კაბა, რომელსაც ხან წინ და ხან უკან აგვირისტებდა ქერა თმის ორი გრძელი ნაწნავი. მზემოკიდებული თეთრი სახე, ცისფერი თვალები და ნესტოებთან ოდნავ მაღლა აწეული ცხვირი ამხელდნენ გოგონას, რომ ის წარმოშობით აქაური არ უნდა ყოფილიყო.

სწორედ ეს გახლდათ დანდუ — გვარმიანების მომავალი სარძლო.

დათა და მისი ქალიშვილები სიყვარულით გადაეხვივნენ დანდუს, აჟღურტულდნენ გოგონები, დადეშქელიანების ეზო ახმაურდა. სახლიდან ეზოში გამოვიდა შავებში ჩაცმული, მაღალ-მაღალი, ჭარმაგი ქალი. ეს იყო ლევან დადეშქელიანის ქვრივი ნინო, დანდუს დედა.

— ხოჩა ლადელ, მძახალო! — მიესალმა დათა.

— ხოჩა უჯარ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მიუგო ნინომ ნაკრელებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

-— როგორა ბრძანდებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგად ვარ, ვასია შინ მშვიდობით რომ მომივა, მერე უკეთ ვიქნები!

მოსულებმა და დამხვდურებმა ერთმანეთს მიულოცეს ვასიას გამარჯვება და იქვე, ეზოში ძელსკამებზე ჩამოსხდნენ. კარგა ხანს ისხდნენ, მასლაათობდნენ და თან ყველა მათგანს თვალი შტავლერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

გამოხდა ხანი და ბენგალის ცეცხლმა სულ ახლოს იელვა.

— ჩამოვიდნენ! — თავშეუკავებლად წამოიძახა დანდუმ.

მალე სოფელში სამახარობლო სროლა ატყდა.

— დეიდა ნინო, დღესვე მიგვყავს ჩვენი რძალი! — ნახევრად ხუმრობით თქვა სალომემ.

— რა გვეჩქარება! ღვთის შეწევნით თქვენს ოჯახს ქალი არ აკლია. მე კიდევ ამ ერთ გოგოს შევყურებ, მეტი არავინ მაბადია ქვეყანაზე. ცოტა მადროვეთ და ისეთი ქორწილი გადვიხადო, რომ მთელი სოფელი ფეხზე დავაყენო.

— სიტყვას ბანზე. ნუ გვიგდებ, მძახალო, — ალაპარაკდა ქორა მახვში,— ჩემმა ვაჟმა შტავლერი დაიპყრო, სოფელს სახელი მოუტანა, ეს სიხარული მთელმა სოფელმა უნდა გაიზიაროს. სწორედ ახლა ვარ ქორწილისა და ქეიფის გუნებაზე. ჩემგან რა გესწავლება, სიკვდილის გარდა ყველაფერი ნაადრევია კარგი.

— გოგოსაც ვკითხოთ; შენ რას იტყვი, დანდუ?! — ნინომ ქალიშვილს მიმართა.

ბუნებით მორცხვმა დანდუმ მოკრძალებით დახარა თავი:

— იქნებ ვასიასთვისაც გვეკითხა, მთავარი მაინც ვასიაა.

— ეგ ჩემზე იყოს. ვასია ისე არ გამიზრდია, მამის სურვილს წინ რომ აღუდგეს!

— მაშინ რა გაეწყობა, იყოს ნება თქვენი! — ხათრი არ გაუტეხა ნინომ ქორა მახვშს — მის მომავალ მძახალს.

— მაშ, ქორწილია, ქორწილი, ჩემო ნინო. გვეყო ცრემლი, იხაროს ჭერმა! ჭიშკართან თოფი გავარდა. ვასია და მისი მეგობრები დადეშქელიანების სახლის ჭიშკართან შედგნენ. მთელი სოფელი შეეგება გამარჯვებულ მთამსვლელებს. დათამ ვაჟიშვილსა და მის მეგობრებს გამარჯვება მიულოცა, დები თავს ევლებოდნენ ერთადერთ ძმას — გოლიათური ტანის ფართო მხარბეჭიან გულად ვაჟკაცს.

გახარებულმა ნინომ ვასია და მისი მეგობრები შინ მიიპატიჟა. მცირე შესვენებისა და ტანისამოსის გამოცვლის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი საქორწილო სუფრას შემოუსხდა.

როდესაც თამადამ ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა, ვასიას და დანდუს ცრემლით აევსოთ თვალები. პირველად მექორწილეებს ეგონათ მოგვეჩვენაო. მაგრამ ნეფე-დედოფალი ნამდვილად ტიროდა.

მხიარული სუფრა უცებ გაირინდა და მოიღუშა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. თანამესუფრეთაგან ხნიერებმა ერთმანეთს გადაუჩურჩულეს იმ ავადმოსაგონარი ცხრაასორმოცდაორი წლის ამბავი და მთელი სუფრა აცრემლდა.

ხსოვნაში აღდგა ომის ის მრისხანე დღეები, როცა ნაკრასთან ახლოს ფრონტის ხაზი გადიოდა...

... გერმანელმა დამპყრობლებმა საგანგებოდ გაწვრთნილი „ედელვაისის“ დივიზიები ჩააბეს ბრძოლაში. ყაბარდო-ბალყარეთში დაბანაკებული ჰიტლერელები დონღუზ-ორუნის უღელტეხილით, ნაკრის გავლით სოხუმისა და დასავლეთ საქართველოს დალაშქრვას ცდილობდნენ.

კავკასიონის უღელტეხილის დასაცავად იქმნებოდა და იგზავნებოდა ალპინისტთა და მაღალი მთის რაიონების მცხოვრებთა, განსაკუთრებით, სვანთა რაზმები. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას, ჩრდილო კავკასიიდან და სტავროპოლიდან ევაკუირებულ მოსახლეობას.

ორმოცდაორი წლის შემოდგომაზე სვანმა მებრძოლებმა დონღუზ-ორუნის ყინულებში ნახეს მომაკვდავი ქალი, რომელსაც გაყინულ გულმკერდზე თოთო ბავშვი ჩაეხუტებინა. ბავშვი ნაკრაში ჩამოიყვანეს. იგი შვილად აიყვანა ლევან დადეშქელიანმა. ლევანის მეუღლემ — ნინომ გოგონას დანდუ შეარქვა. მამობილი მალე გარდაიცვალა. ოჯახის მთელი სიმძიმე ნინოს დააწვა კისერზე. მაგრამ მან იმდენი იღონა, ბავშვს არაფერი დააკლო, ნამდვილი დედობა გაუწია და აი მისი გაზრდილის ქორწინების ჟამმაც დაჰკრა.

არც ვასია გაუნებივრებია ცხოვრებას. ომის საშინელებამ მასაც წაართვა მარჩენალი მშობლები, დაუკარგა გვარი და მხიარული ყმაწვილკაცობა.

ომის დამთავრების რამდენიმე თვის შემდეგ ჰიტლერელების მიერ დარბეული ქლუხორის ნახევრად დანგრეულ ფარდულში ნახეს სამი თუ ოთხი წლის მშიერ-მწყურვალი, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი უპატრონო ბიჭუნა. დაბანეს, აჭამეს, ჩააცვეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ნაკრაში ჩამოიყვანეს. ბავშვმა მარტო სახელი თქვა, არც გვარი იცოდა, არც მშობლების ვინაობა.



ნაკრაში ვასია ცხრა ქალიშვილის მამამ — დათა გვარმიანმა იშვილა.

ასე გახდა ნაკრის მკვიდრი გადამთიელი უპატრონო ბიჭუნა. აქ შეახვედრა ბედმა ერთმანეთს ორი ობოლი — დანდუ და ვასია — სვანეთის შვილობილები.

წუთით გარინდული სუფრა კვლავ გონს მოეგო. გახურდა სიმღერა და ცეკვა-თამაში.

ქორწილია ნაკრაში!

თამადა ბრძანებს:

— იყოს დღეგრძელი ჭირგამოვლილი ნეფე-დედოფალი!

იმრავლოს ქვეყნად დათასა და ნინოსთანა კეთილმა ადამიანებმა!

ამიერიდან აწ და მარადის ჩვენი სამშობლოს ცა იყოს მოწმენდილი. სუფთა და კრიალა!

ქორწილია ნაკრაში — კეთილ ადამიანთა მადლით და მომავლის იმედით გაბრწყინებული ქორწილი!




ბუდაპეშტის ქუჩებში. ევგენი ხალდეის ფოტო

# ბარათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვი

სსრკ თავდაცვის სამინისტრო

კავშირგაბმულობის ჯარების მარშალ ი. ტ. პერესიპკინს

ღრმად პატივცემულო ივანე ტერენტის-ძევ! ვფიქრობ, საქართველოდან ბარათის მიღება არ გაგიკვირდებათ. აქ თქვენ ბევრი მეგობარი, თაყვანისმცემელი და კეთილმოსურნე გყავთ. მეც იმათ რიცხვს ვეკუთვნი. თქვენი სახელი ჯერ კიდევ ბავშვმა გავიგონე იმ მრისხანე ჟამს, როცა ჩვენს ქვეყანაში ომის ხანძარმა იფეთქა. მაშინ თქვენ ფრონტზე კავშირგაბმულობას მეთაურობდით. უფრო გვიან კი გაგიცანით, როგორც საუცხოო წიგნების ავტორი-ჟურნალისტი. და როცა ამას წინათ დახლზე თქვენს წიგნს „ბრძოლაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი“ მოვკარი თვალი, გულგრილად ვერ ჩავუარე, ვიყიდე და მაშინვე წავიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რა უდიდეს როლს ასრულებდა კავშირგაბმულობა სამამულო ომში, უიმისოდ შეუძლებელი იყო ჯარების მართვა. მერედა, როგორ ესმოდათ ეს იმ ბობოქარ დღეებში მეკავშირეებს! ისინი სიცოცხლეს არ იშურებდნენ სამშობლოსათვის.

შესაძლოა, ეს წიგნიც ისევე, როგორც ჩემს მიერ წაკითხული თქვენი ადრინდელი წიგნები, მადლიერების გრძნობით დამეხურა, თაროზე შემომედო და თქვენთვის ბარათი არ გამომეგზავნა, მაგრამ ამჯერად წიგნში ერთმა ამბავმა ამაღელვა და გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა.

თქვენს წიგნში (გვ. 28) დაბეჭდილია დოკუმენტური ფოტო „ბუდაპეშტის ქუჩებში“. ფოტოზე მოჩანს ცეცხლმოდებული შენობა, შენობის წინ ჯარისკაცი ჩამომჯდარა, მუხლზე ტელეფონის აპარატი უდევს, ხელში უჭირავს ყურმილი და რაღაცას გადასცემს. დოკუმენტური ფოტო ადასტურებს, რომ იგი მეკავშირეა და წიგნშიც ამიტომ მოხვდა გმირ მეკავშირეთა შორის.

თქვენ მისი ვინაობა არ იცით და მის შესახებ წიგნში არაფერია ნათქვამი.

ვინ არის იგი?

მე ვიცი ვინ არის ფოტოზე აღბეჭდილი ჯარისკაცი, — იგი მოსე ქარჩავაა. მე ვიცნობდი მას, საქართველოში ჩემი თაობის ჟურნალისტი თუ მწერალი ყველა იცნობდა მას.

მისი ამბავი შორიდან უნდა დავიწყო: როცა ის, ჭაბუკი, ერთი პატარა სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მასწავლებლები და თანაკურსელები სკეპტიკურად უყურებდნენ სტუდენტ ქარჩავას — მან რიგიანად ქართულიც არ იცოდა და უცხო ენების სწავლას აპირებდა. მაგრამ აი, გავიდა ერთი წელი, ორი და ყველა ხედავდა, როგორ იზრდებოდა მოსე ქარჩავა. მეოთხე კურსზე გადავიდა, როცა მის სათაყვანო სამშობლოს მტერი დაესხა. მას დაძახებისათვის არ დაუცდია, ომის დაწყების პირველი დღიდანვე ფრონტის წინა ხაზზე იყო და ომის უკანასკნელ დღემდე იცავდა სამშობლოს.

დამთავრდა ომი. მოსე ქარჩავა საქართველოში დაბრუნდა და სწავლა განაგრძო. იგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ჩვენი საზოგადოების წინაშე წარსდგა როგორც პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან ვიცნობდი მოსე ქარჩავას. მერე ჩვენ ერთად ვმუშაობდით ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში. ეს ყველაზე ბედნიერი და სამახსოვრო წლები იყო მის ცხოვრებაში, მან რამდენიმე საუკეთესო თარგმანით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. თარგმნა შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ბაირონის „სარდა ნაპალი“, სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“, დრაიზერის „ფინანსისტი“, ბ. შოუს პიესა „პიგმალიონი“, ჯ. ლონდონის მოთხრობები და ბევრი სხვა. თბილისში დაბინავდა. შექმნა ოჯახი. ბევრი მეგობარი გაიჩინა, მაგრამ მოგეხსენებათ სამსახურებრივი მეგობრობა. ნახევარ დროს კაცი იქ ატარებ; სამსახური შენი მეორე ოჯახია. ჩვენ ახლობლები ვიყავით. მე ვიცოდი მისი ტკივილი, სიხარული, წარსული, მომავალი გეგმები... ომში თავგადახდილ ამბებზე კი მოსე ქარჩავა ყოველთვის დუმდა. მე გაგონილი მქონდა მ. ქარჩავას დამსახურება დიდ სამამულო ომში. იგი ყირიმის ბრძოლების მონაწილე გახლდათ, აჯიმუშკაის გმირი, მონაწილეობდა უნგრეთის, ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. მან საკუთარ მხრებზე გადაიტანა საკონცენტრაციო ბანაკის საშინელება, საბჭოთა ტყვე ოფიცრების ანტიფაშისტური ორგანიზაციის წევრი მოსე ქარჩავა არალეგალურად გა-

# ერთგული თანაშემწე და მეგობარი




ახლახან სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამომცემლობამ გამოსცა ქართველი რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის დოდო ანთაძის წიგნი „მარჯანიშვილის გვერდით“.

უდავოა, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის დასადგენად და შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრალურ-მემუარულ ლიტერატურას. ჩვენ არა ერთი და ორი შესანიშნავი წიგნი გვაქვს, რომლის ავტორები გახლავთ კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, რომლებიც თავიანთ წიგნებში ეხებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თეატრალური ცხოვრების განვითარებას.

კითხულობთ დოდო ანთაძის წიგნს „მარჯანიშვილის გვერდით“ და თქვენ თვალწინ იშლება ქართული საბჭოთა თეატრის მთელი ისტორია, მაგრამ ავტორს მთავარი ყურადღება გადააქვს მისი ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

დოდო ანთაძე კოტე მარჯანიშვილის ნიჭიერი და ღირსეული მოწაფე იყო. ის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გვერდით ედგა დიდ რეჟისორს, როგორც ერთგული თანაშემწე და მეგობარი. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი იღვწოდნენ ქართული საბჭოთა თეატრის საძირკვლის ჩასაყრელად. დოდო ანთაძე კოტე მარჯანიშვილთან ერთად თეატრალური კორპორაცია „დურუჯის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. ამ კორპორაციის ბაზაზე შეიქმნა დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი რუსთაველის თეატრი.

კოტე მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლის შემდეგ დოდო ანთაძე ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ამოუდგა მხარში თავის მასწავლებელს ქუთაისში სახელმწიფო დრამატული თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. დოდო ანთაძე მარჯანიშვილს თან ახლდა, როცა იგი მოსკოვის თეატრებში სპექტაკლებს დგამდა.

დოდო ანთაძის წიგნი „მარჯანიშვილის გვერდით“ გხიბლავთ უშუალობითა და გულწრფელობით, ადამიანური სითბოთი. ბევრის მნახველი, ნიჭიერი რეჟისორი ცხოვრებისეულ ყოველ დეტალს, ყოველ სპექტაკლს ღრმად და საქმის ცოდნით განიხილავს. ავტორი ცდილობს ყოველთვის ობიექტური იყოს და ამიტომ მისი პროფესიული ერუდიცია დიდ ზომიერებასთან, ანალიტიკურ ოსტატობასთანაა შერწყმული. სასიხარულოა, რომ დოდო ანთაძის

მოსცემდა კედლის გაზეთს, წერდა ლექსებს, მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა; ამ ლექსებს მღეროდნენ ტყვეები.

ლეიტენანტი მოსე ქარჩავა დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით. იგი დაჭრილი იყო თავსა და ფეხში, ზურგში. ყველაფერი ეს მისი ანკეტიდან და ფრონტელი ჟურნალისტის ვახტანგ სიხარულიძისაგან იყო ჩემთვის ცნობილი. მოსე ქარჩავა კი თავისთავზე, აკი ვთქვი, არაფერს ჰყვებოდა.ერთხელ, მახსოვს... ჯერ კიდევ სტუდენტი გახლდით. იგი მაშინ, ჩვენი ფაკულტეტის (დასავლეთ ევროპის) კათედრაზე ლაბორანტად მუშაობდა. უნივერსიტეტში სპარტაკიადისათვის ემზადებოდა. სპორტულ კოსტუმებში გამოწყობილი სტუდენტები უნივერსიტეტის ეზოში ველოსიპედებს დავაგელვებდით. მე ეზოს გარშემო ერთი წრე შემოვავლე და ნაძვის ხის ქვეშ, სკამზე მჯდარ მოსე ქარჩავას მოვკარი თვალი. მას მუხლებზე ქაღალდები გაეშალა, შიგ ჩაჰკირკიტებდა. მივხვდი, მუშაობდა. ის იმ ხანად ბელინსკის ქუჩაზე მეგობრის ნათხოვარ პატარა ოთახში ცხოვრობდა, რომელშიც საწოლის მეტი არაფერი ეტეოდა. მოსეს არ ჰქონდა პირობები შინ ემუშავა და დღისით თუ ღამით ხშირად ნახავდით ხან სანაპიროზე, ხან კიროვის, ხან უნივერსიტეტის ბაღში. ასე თარგმნა მან მსოფლიო ლიტერატურის შედევრები.

მოსე მარტო არ იყო. მოსეს ძალიან უყვარდა ბავშვები. იგი პატარას გულგრილად ვერ ჩაუვლიდა, უნდა გაეთამაშებოდა, მოეფერებოდა. ეჩუქებინა მისთვის რაიმე. ჩვენი ბაღები მუდამ სავსეა ბავშვებით. მოსე სამუშაოდ ბაღში ყოველთვის იმ კუთხეს აირჩევდა ხოლმე, სადაც ბავშვებს დაიგულებდა. ახლაც მის წინ ორი ბიჭუნა ჩაცუცქულიყო და ნიჩბით მიწას ჩიჩქნიდა. გადავწყვიტე გავხუმრებოდი საქმით გართულ მეგობარს და ველოსიპედით მასთან მივიჭერი. ველოსიპედის მუხრუჭის ხმაზე მოსე წამოვარდა, ბავშვებმა ნიჩბები დაყარეს და ყვირილით გაიქცნენ. შემცბარმა მოსემ რომ დამინახა, გადაიხარხარა, მერე დახედა მიტოვებულ ნიჩბებს და შეშფოთებულმა იკითხა: რა იქნენ ბავშვები?

ხელი ხეივნისკენ გავიშვირე. ბავშვები გარბოდნენ.

მოსემ ხარხარი ატეხა, მას უჩვეულო, ხმამაღალი სიცილი სჩვეოდა, ჩაბჟირდებოდა და აღარ გაათავებდა, მაგრამ ახლა მეტისმეტი იყო, ხარხარებდა და გაჰყვიროდა:

— თქვენ კი გენაცვალეთ, მოკურცხლეთ, მოკურცხლეთ, უშველეთ თავს!

ბავშვები თვალს რომ მიეფარნენ, შეწყვიტა სიცილი და წუთის წინ მხიარული მოსე იდგა სევდიანი, კუშტი, მოსეს შუბლი ოფლს დაეცვარა.

— მოსე, მოსე! რა დაგემართა? — შევძახე მე.

იგი გონს მოეგო.

— დაჯექი, დაჯექი! — სკამზე დავსვი. გვერდით მივუჯექი.

ამ პატარა კაცის გულს ახლა ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, იფიქრებდით, გული კი არა, მკერდში სისხლით სავსე ქვაბი დუღდა.

— არაფერია, გამივლის!—თქვა მან,—გაქცეულ ბავშვს რომ დავინახავ, თვალწინ აჯიმუშკაის გამოქვაბული წარმომიდგება ხოლმე. იმ შობელძაღლებმა ჯარისკაცების სიმტკიცე რომ ვერ გატეხეს, გაზი შემოუშვეს გამოქვაბულში. ულმერთოები! ჩვენს გარდა ხომ კატაკომბებისათვის ქალებსაც, ბავშვებსაც, მოხუცებსაც შეეფარებინათ თავი. იგუდებოდნენ ბავშვები, დავტაცე ხელი ორ ბიჭს და გამოქვაბულიდან გავვარდი. დამჭრეს. ბავშვები ხელიდან გამიცვივდნენ. ჩამიგდეს ხელში და... მაგრამ თავს დავეძებდი? ის ორი ბიჭი ხომ გადარჩა? იმათ ვენაცვალე, ნეტავი იმათ შემახვედრა სადმე!, ო, როგორ მოკურცხლეს, სწორედ ისე, წელან რომ გარბოდნენ ბიჭები! — თქვა და ისევ სიცილს მოჰყვა...

ივანე ტერენტის ძეც:

როცა თქვენს წიგნში მოსე ქარჩავას სურათს წავაწყდი, წიგნი საქინფორმში ვახტანგ სიხარულიძესთან მივიტანე (იგი იქ მუშაობდა), დახედა თუ არა ფოტოს, გაიხსენა:

— ცნობილმა ფოტოდოკუმენტალისტმა ხალდეიმ გადაიღო. დიახ, დიახ, — თქვა მან, — მე და მოსე მაშინ ერთად ვიბრძოდით ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის. ქალაქი ფაშისტებით იყო გარშემორტყმული. მათ ბარიკადები მოეწყოთ. ქვეითთა წინსვლა შეუძლებელი იყო, იწვოდა ბუდაპეშტი... ოცეულის მეთაური, ლეიტანანტი მოსე ქარჩავა ქუჩაში ცეცხლმოდებული შენობის წინ მიტოვებულ გადამცემ აპარატს წააწყდა... „ქალაქი გარშემორტყმულია, გესმით? მოგვეშველეთ!“ — ჩასძახა მილში.

— მერე, გააგონა ვინმეს?! — შევეკითხე მე.

— მალე ჩვენები მოგვეშველნენ, ხანძარი ჩააქრეს. ფაშისტები გარეკეს.

— ეს, ცოტათი მაინც, მოსეს ღვაწლია, არა? — ჩავაცივდი ბატონ ვახტანგს.

— ვფიქრობ, ასეა! — თქვა მან, — ხომ გააგონა ვიღაცას?!

წლეულს ათი წელი შესრულდა მოსე ქარჩავას გარდაცვალებიდან. საკუთარ ჭერქვეშ, სუფთა, გაქათქათებულ ლოგინში იწვა მომაკვდავი. ჭაბუკობისას სანთელი რომ ენატრებოდა, რათა ეკითხა, ეწერა, ახლა თავს ძვირფასი ჭაღი დაჰნათოდა. შინ, საკუთარ ჭერქვეშ ლევდა სულს და თავი კი ფრონტზე — აჯიმუშკაის ნანგრევებში ეგონა... საწოლზე არ ჩერდებოდა, რაღაც აშფოთებდა, რაღაც აგიჟებდა, ენაწართმეული ლუღლუღებდა: „ეს როგორ შეიძლება?! ეს არ მოხდება! ბავშვი, ბავშვი“! აგერ მხრებზე წამოიწია, ორივე ხელი ბალიშს დაავლო, ჩაბღუჯა და ლოგინიდან წამოვარდა.

მოსე შებოჭეს. ბალიში ხელიდან გაუვარდა. კეფაზე წაივლო ხელი, სიმწრით დაიღმიჯა და კუნძივით დაეცა საწოლზე. მერე თვალები ფართოდ გაახილა, შეხედა ჭაღს, ნათურებს შორის ორი პეპელა დაფარფატებდა.

— ბიჭებმა მოჰკურცხლეს, უშველეს თავს, გაფრინდნენ ბიჭები! — წაილუღლუღა, გაიღიმა და სული დალია.

ივანე ტერენტის ძევ!

იმედია, მოვიხადე ჩემი ვალი მეგობრის წინაშე, ვფიქრობ, დავაკმაყოფილე ლენინგრადის კავშირგაბმულობის, საინჟინრო ჯარებისა და არტილერიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის მნახველთა ცნობისმოყვარეობა — მუზეუმშიც ხომ ჰკიდია დოკუმენტური ფოტო „ბუდაპეშტის ქუჩებში“. იგივე სურათი დაბეჭდილია მუზეუმის მიერ გამოცემულ საიუბილეო ალბომში, მრავალათასიანი ტირაჟით რომ გამოვიდა და დაიგზავნა მთელ საბჭოთა კავშირში. შევასრულე ქერჩის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის დავალება — მომეთხრო მათთვის, ვინ არის ლეიტენანტი მოსე ქარჩავა, რომელიც 1942 წელს ქერჩის განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

მეგობრის შვილის — ზურაბ ქარჩავას წინაშეც მოვიხადე ჩემი ვალი, როცა ვუამბე, ვინ იყო მოსე ქარჩავა; ზურაბ ქარჩავა მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

„ნეტავი ბიჭების ბედი გამაგებინა!“ — ინატრა ერთხელ მოსე ქარჩავამ. იქნებ, მართლაც იხსნა სასწაულმა ბავშვები? მაშინ იქნებ ჩემ წერილში მოთხრობილმა ამბავმა მათ დღეს უკვე ჭაღარათმიანებს, ბავშვობაში ნანახი უცნაური სიზმარი გაახსენოთ, მოაგონოთ ის კეთილი ანგელოზი, მაშინ მხსნელად რომ მოევლინა, თვითონ დღე დაიკლო და მათ შემატა.

პატივისცემით **გულნარა ბახტაძე**

# წიგნის თარო

სახით გვყავს ღრმად ერუდირებული თეატრალური კრიტიკოსი.

მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში დაუგროვდა დოდო ანთაძეს, დაეხმარა მას სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან დაენახა და თანმიმდევრულად, ნათლად განეხილა კოტე მარჯანიშვილის თეატრალური მემკვიდრეობა, მრწამსი, კონცეფცია, დიდი რეჟისორის როლი ქართული თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მიმოიხილავს რა კოტე მარჯანიშვილის მიერ განხორციელებულ საეტაპო სპექტაკლებს, დოდო ანთაძე ჯეროვან ყურადღებას უთმობს იმდროინდელ ქართულ დრამატურგიას. სიყვარულითა და საქმის ღრმა ცოდნით არის განხილული შალვა დადიანის, სანდრო შანშიაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, კარლო კალაძის, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, ვიქტორ გაბესკირიასა და სხვა დრამატურგთა პიესები.

მარჯანიშვილისა და მისი მოწაფეების შემოქმედება ქართულ თეატრში ყოველთვის მჭიდრო, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა ქართველ ლიტერატორებთან — დრამატურგებთან, პოეტებთან, პროზაიკოსებთან, კრიტიკოსებთან, თეატრმცოდნეებთან.

დიდი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ დოდო ანთაძე წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა თეატრს, რომელიც დღეს მისი დამაარსებლის — კოტე მარჯანიშვილის სახელს ატარებს. სწორედ ამ წლებში ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ 1938 წლიდან ქუთაისში გატარებულ მჩქეფარე თეატრალურ ცხოვრებასაც მიმოიხილავს ეს შესანიშნავი წიგნი.

დოდო ანთაძემ ამ წლებში დადგა ისეთი სპექტაკლები, როგორიცაა: „ოტელო“, „მეფე ლირი“, „რევიზორი“, და სხვ., რომლებიც ქართული თეატრალური ცხოვრების საყურადღებო მოვლენად იქცნენ.

მთელი თავისი უმწიკვლო ცხოვრებითა და მოღვაწეობით დოდო ანთაძე საქართველოში თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი პირველი ბაირახტარი და ფუძემდებელია. ამიტომაა, რომ მისი წიგნი „მარჯანიშვილის გვერდით“ ასე ცხოველი ინტერესით იკითხება.

სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამომცემლობამ ამ წიგნის გამოცემით შესანიშნავი საქმე გააკეთა, რადგან ქართული საბჭოთა თეატრალური ცხოვრების ჩასახვისა და განვითარების წინააღმდეგობებით აღსავსე მაგისტრალური გზის გაცნობა ხელმისაწვდომი გახდა რუსი მკითხველისათვის.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი ერუდიციით, სიყვარულითა და საქმის ცოდნით დაწერილი წიგნის წინასიტყვაობა, რომელიც აწ განსვენებულ გამოჩენილ ქართველ კრიტიკოსს ბესარიონ ჟღენტს ეკუთვნის.

**დ. ზედაეჟრელი**

# დეპუტატის ერთი დღე

## ● დილა

— დღეს ალბათ მზიანი დღე იქნება, — ჩაილაპარაკა იზოლდამ ფანჯარაში ცქერისას. ლილისფერ ცას ოდნავ შესამჩნევი მონაცრისფრო ნისლი გადაჰკვროდა, რომლიდანაც ვარსკვლავები ისე ანათებდნენ, როგორც მარმარილოს იატაკზე გაბნეული აბრეშუმის ფაფუკი პარკები.

გაბნეული პარკები... იზოლდა ფიქრში გაერთო. ნათლად აღადგინა გონებაში ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი თანამშრომლის დაუდევრობით ათასობით პატარა პარკი რომ ეყარა იატაკზე. მათ დიდხანს აგროვებდა ათობით ხელი. რა ძვირი ჯდება ერთის დაუდევრობა, ხშირად როგორ ტყუილუბრალოდ იკარგება ძვირფასი წუთები...

ხელჩანთიდან ბლოკნოტი ამოიღო. გადაშალა საჭირო გვერდი და ჩაიწერა: „დაისვას საკითხი სამუშაო დროის უფრო რაციონალურად გამოყენების შესახებ“.

.ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება ერთ-ერთი მოწინავე წარმოებაა ზუსტად აწყობილი სამუშაო რიტმით. საწარმოს კოლექტივი ზედიზედ მესამე წელია ტყუილად როდი ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას.

ყოველწლიურად აუცილებელია მაჩვენებლების ამაღლება, დაფარული საწარმოო რეზერვების გამონახვა. ეს რეზერვები კი ხშირად თითქოს ისეთ წვრილმანებში ვლინდება, როგორიცაა წუთიერი მოცდენები, მუშა ქალის ცუდი განწყობილება... და განა ყველა ეს წვრილმანია?

იზოლდა საუზმისათვის ემზადებოდა, თან ფიქრებში მომავალ გეგმებს სახავდა. ყოველი წუთი უნდა გამოიყენოს, სხვაგვარად ვერაფერს მოასწრებს. ის ხომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, აგრეთვე ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სახალხო კონტროლის წევრი.

როგორც ყოველთვის, წასვლის წინ იზოლდამ ბავშვების ოთახში შეიხედა. გოგონებს ღრმად ეძინათ. ისინი დილის სიზმრებს უღიმოდნენ. გაეღიმა იზოლდასაც, ამაყი, მხიარული, დედობრივი ღიმილით.

მოზრდილები არიან უკვე ორივენი, მაგრამ ხანდახან ბავშვურად გულუბრყვილონი და ჰირვეულნი. გარდამავალი ასაკია, ვერაფერს გააწყობ! ახლა დედას განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, რათა ქალიშვილების თვალში ნდობა არ დაკარგოს, ჩრდილი არ მიაყენოს მათ სათუთ ბუნებას.

დილის ექვს საათსა და ათ წუთზე, ოცი წუთით ადრე ცვლის დაწყებამდე, იზოლდა ბუაჩიძე საამქროში შევიდა. უჩვეულო სიწყნარე სუფევდა. შემოუარა მხარშავების დაცარიელებულ სამუშაო ადგილებს, პარკების პირველი პარტიები დაალაგა, წყლის ავტომატური მომწოდებელი ჩართო. მას შემოსწრებულებიც მიეხმარნენ. სამუშაო ადგილების წინასწარი მომზადება ოფიციალურად ბრიგადის მოვალეობაში არ შედის, მაგრამ იზოლდას ბრიგადაში ეს წესი დიდი ხანია დამკვიდრდა. თუ სხვებზე ადრე მოხვედი, მეგობრებს უნდა დაეხმარო, რათა არ ჩამორჩნენ სამუშაო რიტმს. დამხვევი მუშაობას მანამ ვერ დაიწყებს, სანამ მხარშავი ორთქლში დამბალი პარკების პირველ პარტიას არ მისცემს.

აი უკვე პარკებით სავსე ტაშტებიდან ორთქლი ადის და კონდიციონერებისაკენ მიემართება ჰაერი ცხელი და ტენიანი ხდება „როგორც ტროპიკებში“, ხუმრობენ სიცხეს შეუჩვეველი პარკდამხვევები.

წვრილი, მბრწყინავი ძაფები აქეთ-იქით მიფრინავენ, ზემოთ მიემართებიან და მბრუნავ ბაბინებზე ეცემიან. ხელის სწრაფი და ზუსტი მოძრაობით დამხვევი აერთებს ძაფებს, ახალ პარკებს ამაგრებს ძრავაზე.

ცვლის ბოლოს თითოეული მათგანი ლაბორატორიას ათას ორას გრამ ნართს აბარებს.

## ● შუადღე

— რას ცოდვილობ მანდ? — გაისმის ეენიას გაღიზიანებული ხმა.

იზოლდა შემობრუნდა. მან ჯერ კიდევ დილით შეამჩნია, რომ ეენია არ იყო ხასიათზე. დღესაც აპირებს მეწყვილის მუშაობა შეაფერხოს, გაიფიქრა იზოლდა ბუაჩიძემ და მუშაობის შეუწყვეტლად იქით გაიხედა, სადაც ეს-ეს იყო კომპლიქტი ინასკვებოდა.

მხარშავი ნამდვილად ვერ ასწრებს, ჩანს ტყუილად დააწყვილა ისინი. ლია ემოციური ადამიანია, მისი ხასიათის ეს თვისება ადვილად მოქმედებს მუშაობის რიტმზე; ეენიას პირიქით, მუშაობაში ხასიათი სრულებით არ უშლის ხელს, სამაგიეროდ, როცა გაღიზიანდება, შეუძლია ვინმეს თავი მოაბეზროს.

შესვენებისას ეენიასთან მოლაპარაკება აუცილებელია, გადაწყვიტა იზოლდამ, მისთვის უკეთესია აღუშფოთებელ მედეასთან მუშაობა, ლიასთვის კი — ჩემთან აჯობებს.

როდესაც იზოლდა ამ ბრიგადის ხელმძღვანელად აირჩიეს, შეშინდა. მაშინ ბრიგადას არც ისე კარგი სახელი ჰქონდა, ამას ისიც დაერთო, რომ თვით ბუაჩიძესაც გამოცდილება აკლდა. მართალია, ის მაღალი კვალიფიკაციის მუშაა, ერთნაირად ეხერხება პარკების ხარშვაც და მათი დახვევაც, დაზიანებული მექანიზმის გასწორება, ახალბედების დარიგება და სწავლება, ისიც იცის, როგორ უნდა მუშაობა... იზოლდას უფლება ეძლევა დისციპლინის დამრღვევს პასუხი მკაცრად მოსთხოვოს, მაგრამ ერთია ამ უფლების ქონება და მეორეა ბრძანების მიცემა. ბრძანება მას არ შეუძლია, აწეული ტონითაც კი ვერ ლაპარაკობს ასეთია მისი ხასიათი.

— ყვირილი არცაა საჭირო, — უთხრა პარტბიუროს მდივანმა ჯემალ ქემულარიამ, — საჭიროა აღზრდა, ეს კი შენ შეგიძლია, დიდი ხანია შეგატყვე.

თვითონაც იცოდა, რომ ბავშვებისა და მოსწავლეების აღზრდა გამოსდიოდა, ხასიათებს და სიტუაციებს ინტუიციით გრძნობდა. მას შეეძლო, ტაქტიანად მიეთითებინა ნაკლზე, შეცდომა მხედველობიდან არ გამორჩენოდა, დახმარებოდა საჭიროების შემთხვევაში.

მხოლოდ ეს იყო, რომ იზოლდას ხელმძღვანელის გამოცდილება არ ჰქონდა, სათანადო ცოდნაც აკლდა.

პარტბიუროს მდივნის რჩევით იზოლდამ სპეციალური ლიტერატურა გადაიკითხა, გაეცნო სოციალურ ფსიქოლოგიას, შეისწავლა კოლექტივის მიკროკლიმატი და პრაქტიკაში სოციოლოგიური რეკომენდაციების გამოყენება დაიწყო.

პირველად ბრიგადის წევრებს შესთავაზა თვითონ ამოერჩიათ მეწყვილე. იშვიათი გახდა კონფლიქტები, მაგრამ კოლექტივის საერთო ატმოსფერო მაინც დაძაბული დარჩა.

ხდებოდა ხოლმე, რომ ქალი ოჯახური პირობებით, ან რაიმე მიზეზით განაწყენებული „აგრესორად“ იქცეოდა, იწყებდა მეგობრებთან უხეშობას, ეძებდა ჩხუბის მიზეზს. მაშინ იზოლდა ძალიან ფრთხილად აბამდა მუშებს გულახდილ საუბარში, მასში იმდენი მეგობრული თანაგრძნობა და დახმარების სურვილი იყო, რომ „აგრესორი“, როგორც წესი, უყვებოდა ყველაფერს და თანდათან მშვიდდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველასთან ერთნაირად არ ხერხდებოდა, მაგრამ იზოლდა კეთილმეგობრული რჩებოდა მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი გაბრაზებულ გულზე ხანდახან მასაც ლანძღავდა...

## ● საღამო

სამუშაოს დამთავრების შემდეგ იზოლდას პარტიის ქალაქკომის პირველ მდივანთან — ნუგზარ რუხაძესთან შეხვედრა მოუწევს ამომრჩეველ ნოზაძის თხოვნის შესახებ მოსალაპარაკებლად.

მთელი დღის განმავლობაში ის ფიქრებში წონიდა ყველა „ჰოს“ და „არას“. ცოტათი ნერვიულობდა კიდევაც: ხომ არ მოეჩვენებათ მიზეზად, რომლისთვისაც ის ქალაქკომში მიდის? საკითხი ქალაქის საბჭოს ეხება. რას იზამ, თუ იქ არ შეუძლიათ, ანდა შეიძლება არც უნდათ გაერკვნენ საკითხის არსში...

დეპუტატ იზოლდა ბუაჩიძეს არაერთხელ შეუმოწმებია მოქალაქეთა საცხოვრებელი პირობები და თვლიდა, რომ მას ვერაფერი გააკვირვებდა, მაგრამ ის, რაც მან ნოზაძესთან ნახა, მოლოდინს გადააჭარბა.

ნოზაძის მრავალშვილიანი ოჯახის დატოვება იმ სახლში, სადაც აურზაური, კონკლაობა მეზობლებს შორის ურთიერთობის წესად იქცა, შეუძლებელი იყო. ყველაფერი ეს ბავშვების ფსიქიკაში აისახება და შეიძლება სავალალო შედეგიც მოყვეს.

ნუგზარ რუხაძესთან საუბრისას იზოლდა თანდათან იმსჭვალებოდა რწმენით, რომ ნოზაძის პრობლემა დადებითად გადაწყდებოდა.

სახლში მეუღლე და ქალიშვილები იზოლდას დიდი ხანია ელოდნენ, მოამზადეს ვახშამი, გაშალეს სუფრა.

— გაკვეთილები მოამზადეთ? — შეეკითხა ქალიშვილებს ვახშმის შემდეგ და რვეულების შემოწმებას შეუდგა. გვიან ღამით, როცა უკვე წვებოდა იზოლდას მოაგონდა, რომ დეპუტატობის რწმუნებულობის ვადის დამთავრებამდე ძალიან ცოტა დრო დარჩა. მან კი თითქმის ვერაფრის გაკეთება ვერ მოასწრო. მხოლოდ რამდენიმე ოჯახს ბინების შეკეთებაში დაეხმარა, მიაღწია ერთი ქუჩის კეთილმოწყობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობას, ცდილობდა მაღაზიაში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, იბრძოდა ვაჭრობაში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

ბოლო სათვალავში არაა მისაღები, ეს სახალხო კონტროლის ხაზითაა და ამაზე ანგარიშს ჩააბარებს როგორც ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სახალხო კონტროლის წევრი.

სვეტლანა ისაშვილი

□ აჯანყება დუშეთში.
□ ნ. ფიროსმანაშვილის პორტრეტი.
□ ავტოპორტრეტი. ირ. თოიძე.


ეროვნული ბიბლიოთეკა













- დანკო.
- სამშობლოს თაყვანისცემა.
- ილუსტრაცია შ. რუსთაველის პოემისათვის „ვეფხისტყაოსანი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი თოიძე

ჩვენი დროის გამოჩენილი ფერმწერი, გრაფიკოსი, ქართული პლაკატის ერთ-ერთი პიონერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი — ირაკლი თოიძე ქართველ მხატვართა უფროს თაობას ეკუთვნის. ათეული წლების მანძილზე ირაკლი თოიძემ არაერთი ორიგინალური ნაწარმოებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების საგანძური. მის შესანიშნავ ტილოებზე აისახა საბჭოთა ხალხის სინამდვილე.

ირაკლი თოიძის შემოქმედებითი ნიჭიერების ძალა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა პორტრეტულ ფერწერაში. მან შექმნა საქართველოს გამოჩენილ ადამიანთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა პორტრეტების მთელი გალერეა, დაასურათა ქართული თუ მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის უამრავი ნაწარმოები.

მხატვრის ცნობილი პლაკატი „დედა სამშობლო გვეძახის!“ დიდი სამამულო ომის პირველივე დღეებიდან სამშობლოსადმი თავდადებით ანთებდა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს.

მხცოვან მხატვარს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მიეძღვნა მხატვრის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამხატვრო გალერეაში მოეწყო. ვრცელმა და მრავალფეროვანმა გამოფენამ მნახველს წარმოდგენა შეუქმნა მხატვრის განვლილ დიდ შემოქმედებით გზაზე.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია ულოცავს მხცოვან მხატვარს დაბადებიდან სამოცდათხუთმეტი წლისთავს და უსურვებს მას კვლავ დაუცხრომელი ენერგიით გაეგრძელებინოს ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

## ეროვნული ფილმოთეკა

# ნაწყვეტები დიალოგიდან



სპარტაკ ბალაშვილი

— ბატონო სპარტაკ, შეიძლება განვაგრძოთ საუბარი? — შევეკითხე ერთხელ ტელეფონით სპარტაკ ბალაშვილს.

— მოდით, მოდით! — დაიბუბუნა ყურმილში.

...ვისაუბრეთ მის სათაყვანო მსახიობზე, მის სულიერ მოძღვარზე, ალექსანდრე იმედაშვილზე, რომლის ოტელო სტუდენტობისას უნახავს და მოხიბლულა. ალექსანდრე იმედაშვილთანვე ეუფლებოდა იგი სამსახიობო ხელოვნების საიდუმლოებას...

„არსენას“ ქებამ სად არ მიაღწია. გამოჩენილმა რეჟისორმა, „არსენას“ დამდგმელმა სპარტაკ ბალაშვილის აღმომჩენმა მიხეილ ჭიაურელმა, მალე ახალ ფილმში — „დიად განთიადში“ მიიწვია ახალგაზრდა მსახიობი. ფილმში, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებს ასახავდა, სპარტაკს ქართველი ჯარისკაცი — გიორგი ღუდუშაური უნდა განესახიერებინა.

არსენა და გიორგი ძმებივით ჰგავდნენ ერთმანეთს — ორივე სამართლიანობისათვის. ორივე ღარიბი ხალხის სასიკეთოდ მოქმედებდა და იბრძოდა.

სამოქალაქო ომში გიორგი ღუდუშაური ჰკარგავს ძმას, მაგრამ პოულობს ხსვადასხვა ეროვნების ძმადნაფიცებს, სიყვარულსა და რწმენას.

ეს არის რწმენა ახალი ცხოვრების შექმნისა, თანამებრძოლებთან ერთად, რომლებიც მასავით არიან ანთებული რევოლუციის ნათელი იდეებით; იგი გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში იოსებ სტალინს შეხვდება.

შემდეგ სპარტაკი ცხადად შეხვდება მას, უკვე კრემლში, სადაც ბალაშვილს მიიწვევენ სახელოვან ქართველ მსახიობებთან — აკაკი ხორავასთან და აკაკი ვასაძესთან ერთად.

სტალინს მოწონებია სპარტაკი თავისი რაინდული იერითა და ბუნებით. უშუალობით, ნიჭით, შინაგანი ტრაგიზმით, რაც შექსპირის ნაწარმოებთა ნაწყვეტების კითხვისას იგრძნობოდა...

— ქართული დამილოცა, — სიამაყით აღნიშნა სპარტაკ ბალაშვილმა (იგი, მართლაც, იშვიათი მოქართულე იყო).

— ბიჭო, შვილო, გულნაკლული ხომ არაფერზე ხარ, ხომ არა გინდა, გამანდე შენი სურვილი! — ასე ზღაპრებში მიმართავენ ხოლმე იღბლიან გმირს, ეს კი სინამდვილეში მოხდა, მაგრამ სპარტაკ ბალაშვილმა საოცარი სიდარბაისლე გამოიჩინა.

— მე, ბატონო, აქ რაიმეს სათხოვნელად და საჩივლელად როდი ჩამოვსულვარ, — უპასუხნია მოკრძალებით.

ერთ თვეზე მეტხანს დამტოვა თავისთან, მართლაც, მამა-შვილურად მექცეოდა...

* *
*

...სუფრაზე საგანგებოდ შერჩეული ხილი გაჩნდა. მიგვიპატიჟა.

— მასპინძლობაზე ხელი არ ამიკრათ; საქართველოში ანბანთქების შემდეგ ქალთა და ხილთა ქება თქმულა! — თავისებური, იშვიათი ღიმილითა და ჩვეული ანდაზური ფორმით მოგვმართა სპარტაკ ბალაშვილმა და გრძელი, ჩამოქნილი თითებით თითას მტევნები მოგვაწოდა.

სპარტაკს უყვარდა ხოლმე ბაზარში გავლა და ჭირნახულით თვალის დაპურება. მაგრამ ბაზარში იგი მხოლოდ ნატურმორტით დასატკბობად კი არ დადიოდა, არამედ სიტყვების საპოვნელად და ასალესადაც. ხალხური ნაკვესების მოსასმენად მას სწორედ ბაზარი ჰქონდა ამოჩემებული, — იქ ახლად შემოსული ხილივით იამებოდა ხოლმე ქართული სიტყვის დაჭაშნიკება.

* *
*

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, — ამბობს გალაკტიონი..

დიახ, მსახიობსაც წარსულის არაერთი სახსოვარი შემორჩენია... ამ რელიკვიებს შორის განსაკუთრებით სათუთი და იშვიათია პამირული ედელვაისი, მირთმეული ტაჯიკეთში გამართულ შეხვედრაზე, როდესაც სპარტაკ ბალაშვილს იქაურ ფილმში („ნისო“) იღებდნენ.

— ჯარისკაცის მადლობა ყველა მადლობაზე მსუყეა, რადგან მას განსაზღვრული დრო აქვს მზადყოფნიდან ხელოვნების ნაწარმოების აღქმამდე. როდესაც ჯარისკაცი მოგესალმება, თავს დახრის და თაიგულს მოგართმევს, მაშინ წელში იმართები და ხედავ, რომ ის მარტო ბრძოლისუნარიანი და დამცველი კი არ არის, არამედ შემფასებელიც, რომელიც ღირსებას არ დაგიკარგავს...

ეს წრფელი სიტყვები სპარტაკ ბალაშვილს ეკუთვნის. მსახიობისა და ჯარისკაცების ეს შეხვედრა კიდევ ერთი დასტური იყო ხელოვნების უმაღლესი დანიშნულებისა.

* *
*

...როცა სპარტაკ ბალაშვილს ვთხოვე, მოეთხრო რაიმე სამახსოვრო „არსენას“ ან „ქაჯანას“ გადაღებიდან, მესხური ეპიზოდი მიამბო:

— „არსენას“ მესხეთში, ვარძიასა და თმოგვში ვიღებდით. მესხეთის გლეხობამ ისე შემიყვარა, რომ ერთ-ერთი გადაღების დროს ჩემი ქუდი მომხადეს, თავიანთი დამხურეს და ფერხულში ჩამაბეს. ბატონი მიხეილ ჭიაურელი განზე გადგა, გვითვალთვალებდა და იცრემლებოდა.

რა მოხდა? თითქოს და არაფერი.

ხალხმა გაიხარა არსენა ოძელაშვილის გაცოცხლებით და ამ წრფელი სიხარულისა და აღიარების ნიშნად თავისი ქუდი დამხურა, ქუდი კი არა — კაცობის გვირგვინი.

იქნებ ეს იყო სპარტაკ ბალაშვილის სახალხო არტისტად პირველკურთხევა?!

ნანა ღვინეფაძე

## მეცნიერის საუბარი

ამას წინათ ჩემთან მოვიდა ერთი ქალი. ეტყობოდა რაღაც დარდი აწუხებდა.

— ექიმო, ჩემი ვაჟიშვილის გამო უნდა შეგაწუხოთ, — დაიწყო ქალმა,— ნოდარი თოთხმეტი წლისაა... კარგი ბიჭია... ბოლო დრომდე ცუდი არაფერი შევგიმჩნევია, მაგრამ... — მოსაუბრე შეჩერდა, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიწმინდა და ათრთოლებული ხმით განაგრძო:

— ჩემი ბიჭი უკანასკნელ ხანებში სრულიად გამოიცვალა. სწავლაზე გული აიცრუა, გაუხეშდა, გაყოყოჩდა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ტყუის... საეჭვო მეგობრებიც გაიჩინა.

# ქცევის მოშლა

ქალს ქვითინი აუვარდა. დამშვიდება ვადროვე, ბოლოს, როცა აღელვებული დედა გონს მოეგო, ვკითხე:

— როგორ იზრდებოდა თქვენი ვაჟიშვილი? უწევდით თუ არა მას სისტემატურ კონტროლს? იცოდით თუ არა, როდის აცდენდა ნოდარი გაკვეთილებს?

— ამისი ცოდნა და გაკეთება შეუძლებელია! ჩემი მეუღლე ძალზე დაკავებულია სამსახურებრივი საქმეებით. მე, მართალია, დიასახლისი ვარ, მაგრამ მოცალეობა არ მაქვს, ოჯახში საქმეს რა გამოლევს?!

ასეთი საუბარი ერთადერთი როდი იყო ჩემს პრაქტიკაში. ახალგაზრდა ქალის გულახდილმა საუბარმა მიმანიშნა, რომ ამჯერად საქმე უნდა გვქონოდა ბავშვის ქცევის მოშლასთან, რომელიც ოჯახში აღზრდის მიმართ ხელმიშვებული დამოკიდებულების შედეგად აღმოცენდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა. მედიცინის მუშაკებმა, ნოდარის მშობლებთან ერთად, საგანგებო გეგმა შეიმუშავეს. ამ გეგმის შესრულებამ სულ მალე კარგი ნაყოფი გამოიღო და ნოდარი კვლავ წარჩინებული მოსწავლე და წესიერი ჭაბუკი დადგა.

ქცევის მოშლა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში ერთ-ერთ ხშირ ავადმყოფურ ნიშნად ითვლება. ქცევის მოშლის გამომწვევი მიზეზები ძირითადად იყოფა ორ — ბიოლოგიურ და სოციალურ ჯგუფად.

ქცევის დარღვევის განმაპირობებელ ბიოლოგიურ მიზეზად უნდა მივიჩნიოთ, ერთი მხრივ, მემკვიდრეობითი ფაქტორები, მეორე მხრივ კი — ნერვიული სისტემის ორგანული დაზიანებები. სოციალურ ფაქტორებში უმთავრესად იგულისხმება ბავშვის უშუალო უარყოფითი გარემო, აღზრდის არაკეთილსასურველი პირობები, უსიამოვნო განცდები, პედაგოგიური შეცდომები.

როგორც ცნობილია, ბევრი ბავშვისა და მოზარდისათვის დამახასიათებელია ქცევის დროებითი გადახრა. ქცევის დროებითი გადახრა ხშირ შემთხვევაში ადვილად სწორდება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვთა გარკვეული ნაწილის ქცევა ხშირად სცილდება ბავშვისათვის დასაშვებ სიცელქეს და იღებს საზოგადოებისათვის მიუღებელ, ზოგჯერ კი დანაშაულებრივი მოქმედების ხასიათს.

ასეთი ბავშვები და მოზარდები გამოირჩევიან სიზარმაცით, სწავლის სურვილის უქონლობით. ისინი ხშირად აცდენენ სკოლას არა საპატიო მიზეზით, ავლენენ ბევრ უარყოფით ჩვევას, ეწევიან თამბაქოს, ეტანებიან ალკოჰოლურ სასმელს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცრუობენ, მშობლებისა და პედაგოგების მიმართ ერთგვარად დაძაბულნი არიან, ისინი იჩენენ დიდ გამძლეობასა და დაჟინებას რომელიმე მიზნის მისაღწევად (თუნდაც შედეგი ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებს), ხოლო ავლენენ უნებისყოფობას თუ გასაკეთებელია რაიმე სასარგებლო, დადებითი, რომელიც არ შეესაბამება, არ აკმაყოფილებს მათ ინტერესებსა და სურვილებს

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „ძნელი“ ბავშვების ხასიათობრივი ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საოჯახო-ყოფაცხოვრებითი პირობების თავისებურებებით, კერძოდ, მშობელთა შორის ურთიერთდამოკიდებულების დარღვევით, ოჯახის სტრუქტურის დაშლით, ხშირი კონფლიქტით, აღზრდის მიმართ მშობლების უყურადღებობით, თავმინებებით.

საინტერესო დაკვირვება ჩაატარეს საბჭოთა კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ინსტიტუტის მასალების თანახმად, მნიშვნელოვნად განსხვავებულია „ძნელი“ მოზარდებისა (რომლებიც შემდეგ ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს) და ნორმალური ქცევის მოზარდების ოჯახური პირობები. აი მაგალითად: პირველი კატეგორიის მოზარდებს ორივე მშობელი ჰყავთ შემთხვევათა 42%-ში, ხოლო ჩვეულებრივ მოზარდებს—68%-ში, დედა და მამინაცვალი „ძნელ“ მოზარდებს ჰყავთ შემთხვევათა 28%-ში, მეორეთ — 12%-ში, მაგრამ როგორც ირკვევა, მთავარია არა ოჯახის შემადგენლობა, არამედ ოჯახის მორალური გარემო. ამ დებულებას ადასტურებს შემდეგი მონაცემები: პირველი ჯგუფის მოზარდების მშობელთა 74% ან ლოთია, ან გადაჭარბებულად იღებს ალკოჰოლურ სასმელს, მაშინ როდესაც მშობელთა ალკოჰოლიზმი მეორე ჯგუფის მოზარდებში დადგენილია შემთხვევების მხოლოდ 14%-ში. დადგენილია ისიც, რომ ოჯახის ეკონომიური პირობები ნაკლებ გავლენას ახდენს „ძნელი“ მოზარდების დანაშაულებრივ ქმედებაზე, ვინაიდან მათი უმრავლესობა ცხოვრობს კარგ მატერიალურ და საბინაო პირობებში. ამრიგად, ძირითადია ოჯახის მორალური ატმოსფერო, უფროსების მაგალითი და პედაგოგიური გარემო.

ბავშვის და მოზარდის ქცევის დარღვევას ხშირად საფუძვლად უდევს უსიამოვნო განცდები და უშუალო უარყოფითი გარემო პირობები. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით, ხშირ შემთხვევაში ვითარდება ქცევის მოშლის სამი ფორმა: უარყოფის, პროტესტისა და მიბაძვის (იმიტაციის) ფორმები.

უარყოფის ფორმა ანდა უარყოფის რეაქცია, შემთხვევათა უმრავლესობაში, ვითარდება ბავშვის ისეთ სიძნელეებთან შეხვედრის დროს, რომელთა გადალახვა მას დამოუკიდებლად არ შეუძლია. უარყოფის რეაქციის ტიპიურ გამოვლინებას წარმოადგენს უარის თქმა სწავლაზე და სასკოლო რეჟიმის შესრულებაზე.

უსიამოვნო განცდების შედეგად აღმოცენებული ბავშვის ქცევის მოშლიდან პროტესტის რეაქცია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვანს. მას ხშირად საფუძვლად უდევს ბავშვის სათანადო მომზადების გარეშე შეყვანა საბავშვო ბაღში, სკოლაში ან ინტერნატში, აგრეთვე მშობელთა შორის ხშირი კონფლიქტი, გაყრა, ბავშვის მიმართ უფროსის დაუმსახურებელი უხეში დამოკიდებულება, ფიზიკური დასჯა და სხვ.

პროტესტის რეაქციის ფორმა სხვადასხვაგვარია — დაწყებული პასიური პროტესტის რეაქციიდან. (შარდის შეუკავებლობა, მყარი უმადობა, ხშირი პირის ღებინება), — გათავებული აქტიური პროტესტით, რომლის ძირითად გამოვლინებას წარმოადგენს: უხეშობა, ზიზღი ახლობლებისადმი, მათ მიმართ სიმკაცრე და აგრესიული ქცევა.

მიბაძვის ავადმყოფური რეაქცია გამოვლინებულია ქცევის ისეთი ფორმით, როდესაც ბავშვი ან მოზარდი ხშირად გადაჭარბებით ბაძავს მისთვის ავტორიტეტულ უფროსს. სამწუხაროდ, როგორც წესი, ბაძავენ დეზორგანიზებულ მოზარდს ან ასოციალური ქცევის მოზრდილს. აღნიშნულ რეაქციას უფრო ხშირად ამჟღავნებს ის ბავშვი ან მოზარდი, რომელიც უმეთვალყურეოდ იზრდება.

იმის საილუსტრაციოდ თუ როგორ აღმოცენდება ბავშვის ქცევის დარღვევა უსიამოვნო განცდების შედეგად, მოვიყვანთ ერთ მაგალითს ჩემთან მოვიდა ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი და მთხოვა მომესმინა მისთვის:

— მე ერთი ჩემი მოსწავლის გამო გაწუხებთ, თუ ნებას მომცემთ, მოგიყვებით. მე ვარ დამრიგებელი მეშვიდე კლასის... ის გოგონა, ვიზედაც ახლა მოგიყვებით, იყო ძალზე წესიერი, თავაზიანი, ცუდს ვერაფერს ვამჩნევდით. სწავლობდა კარგად... მაგრამ აგერ, უკვე ორი წელია, რაც გოგონა თანდათანობით გამოიცვალა. გაკვეთილებს ხშირად უმიზეზოდ აცდენს, სკოლიდან იპარება, უმიზნოდ დაეხეტება ქუჩაში.

საღამოს მე და დამრიგებელი გოგონას შინ ვეწვიეთ.

გოგონა ტახტზე იწვა და თვალები ჭერში ჰქონდა მიპყრობილი. თითქოს რაღაცაზე ფიქრობდა. როდესაც დაგვინახა, წამოდგა, მაგრამ ბოროტად გადმოგვხედა.

— თქვენი ქალიშვილის სანახავად მოვედით, — ვუთხარი გოგონას დედას. ის-ის იყო მოვემზადე შეკითხვების მისაცემად, რომ ამ დროს კართან მთვრალი კაცის ღრიალი მოისმა.

— მოვიდა! — ჩაილაპარაკა შიშისაგან ფერდაკარგულმა ქალმა.

მამის ხმის გაგონებაზე გოგონა წამოხტა, კარადასთან მიიკუნჭა და ტირილი დაიწყო.

ოთახში საშუალო ტანის, ჯმუხი მამაკაცი შემოვარდა, იგი მთვრალი იყო.

— სად ეშმაკებში დაიკარგე აქამდე, კარს რატომ არ აღებ, შე უქნარა შენა! — დაიღრიალა მან, სკამი ფეხით გადააგდო და ცოლსაც ხელი ჰკრა.

ყველაფერი გასაგები იყო.

დამრიგებლისათვის, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც ნათელი გახდა გოგონას ქცევის დარღვევისა და პიროვნების შეცვლის მიზეზი.

ეს შემთხვევა საგულისხმო მაგალითია. თუ ბავშვის ქცევის მოშლა შედეგია არაკეთილსასურველი გარემოს გავლენისა, არასწორი აღზრდისა, მაშინ ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს გარემო წრის გაჯანსაღებას (ფსიქოსანაციას), ბავშვის ხელახლა აღზრდას.

**მირიან მესტიაშვილი,**

ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა და მოზარდთა განყოფილების ხელმძღვანელი, რესპუბლიკის მთავარი ბავშვთა ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

# ჩაის სიქეთე

ბევრი რამ გვსმენია ჩაის საოცარი თვისებების შესახებ. ცნობილია, რომ იგი არის ადამიანის სიმხნევის, ენერგიის წყარო. ამიტომაა, რომ ეს უძველესი და უკეთილშობილესი სასმელი სულ უფრო მკვიდრდება ადამიანის ყოველდღიურ რაციონში.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკაც კმარა, სადაც ჩაის წარმოების დიდი ტრადიციისა და კულტურის მიუხედავად, მაინცდამაინც დიდ პატივში არ იყო ეს პოპულარული სასმელი და ეს ერთი ხანია, რაც მოიპოვა თავისი კანონიერი უფლებები.

ჩაის საქვეყნოდ განთქმულ სახელს თითქოს ვერაფერს დავუმატებთ, მაგრამ ჩაის თურმე სხვა ღირსებებიც გააჩნია. ამჟამად მოგითხრობთ მის... კოსმეტიკურ ღირსებებზე.

თუ მუქი ფერის ცხიმიანი თმა გაქვთ, ჩაის თბილი, მაგარი ნაყენით დაიბანეთ, თმას ცხიმი შორდება და ბზინვარება ემატება.

თუ ცხიმიანი და აზიზი სახის კანი გაქვთ, ყოველ დილას ჩაის ცივი ნაყენით დაიბანეთ.

ჩაის ცივი ნაყენი კეთილმყოფელად მოქმედებს სახის კანზე, თუ იგი დასერილია მკვეთრად გამოხატული წვრილი სისხლძარღვებით; ჩაი კარგად მოქმედებს აგრეთვე მზით დამწვარ კანზე.

კანი ჯერ ლოსიონით უნდა გაიწმინდოთ, შემდეგ კი ზედ ცივ ჩაიში ამოვლებული საფენი დაიდოთ, 15-20 წუთის განმავლობაში დააცადოთ და შემდეგ სველი კანი მკვებავი კრემით უნდა დაიზილოთ.

პირის დაბანის შემდეგ სასარგებლოა დღეში ერთხელ ან ორჯერ სახე გაიწმინდოთ მაგარი ჩაის ყინულოვანი ნაყენით (თლილი ჭიქის 3/4 ჩაის ნაყენი ღამით მაცივარში შედგით).

თუ თვალი დაგეღალათ, ქუთუთოები გაგიღიზიანდათ მზისაგან ან ზღვის წყლისაგან, ჩაის ცივი ნაყენით უნდა დაიბანოთ.

ჩაის მაგარი ნაყენი შეიძლება დავუმატოთ ცხიმოვანი და ფოროვანი კანისათვის განკუთვნილ ლოსიონს (1/4 ჩაის ნაყენი და 3/4 ლოსიონი). ასეთი ლოსიონის დამზადება თავადაც შეგიძლიათ. აიღეთ ნახევარი ჭიქა მაგარი ცხელი ჩაი, დაუმატეთ ლიმონის სამი ნაჭერი, თავი დააფარეთ და 30-40 წუთი გააჩერეთ, შემდეგ გამოწურეთ ლიმონი ცედრასთან ერთად, გაფილტრეთ, დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი არაყი. ამ ლოსიონით სახის კანი დილას და საღამოს გაიწმინდეთ.

სილამაზისა და ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა ახალდაყენებული ჩაი, თითო ჭიქა დღეში 2-3-ჯერ.

ჩაის დაყენების რეცეპტი ბევრია— ეს გემოვნებისა და ჩვევის საქმეა. ჩვეულებრივ კი ჩაის აყენებენ თითო ჭიქაზე ერთი ჩაის კოვზის ანგარიშით. არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ — მხოლოდ ახალდაყენებული ჩაი უნდა ვსვათ.

მცირეოდენი პიტნის დამატება ჩაის არაჩვეულებრივ არომატსა და სასიამოვნო გემოს აძლევს და კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე მოქმედებს როგორც სადეზინფექციო და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.



# ქვეყნის ჭრელი ფურცლებიდან

სიყვარულისათვის რას არ მოიმოქმედებს კაცი; ახალგაზრდა ლამაზი ქალი ცეცილია ბლიუმი შარშან ოდესიდან ბიძასთან გაემგზავრა ამერიკაში. ნიუ-იორკში მან ერთ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, სადაც თვეში 28 დოლარს ღებულობდა. ახალგაზრდა ქალს უნდოდა, ცოტაოდენი ფული ეშოვა, უკანვე დაბრუნებულიყო და მისთხოვებოდა თავისავით ღარიბ ყმაწვილ კაცს. ამ სამი თვის წინათ ამერიკულ გაზეთებში დაიბეჭდა განცხადება ექიმ გელდენისა. ექიმი ჰპირდებოდა 10.000 დოლარი იმას, ვინც (კაცი ან ქალი, სულ ერთი იყო) ნებას დართავდა და ყურს მოაჭრევინებდა. ეს ყური ერთი კაცისთვის იყო საჭირო. ახალგაზრდა ცეცილია ჩუმად, ბიძის დაუკითხავად, მივიდა ექიმ გელდენთან. მაგრამ აქ ყურის მოჭრის მსურველი 600 ქალი და კაცი აღმოჩნდა. ექიმმა კენჭის ყრა გამართა და ყურის მოჭრა ცეცილია ბლიუმს ჰხვდა წილად.

მეორე დღეს ექიმის კლინიკაში ქალს ყური მოსჭრეს და ბლიუმი მალე ბიძასთან დაბრუნდა. გამდიდრებულმა ქალმა „სასიხარულო“ ამბავი აცნობა საქმროს, რომელიც ჰამბურგს წავიდა საცოლის დასახვედრად.

• •
•

მივარდნილ და მიყრუებულ ალიასკაშიც გულმოდგინედ მისდევენ თურმე ბანქოს თამაშს. იმ კუთხეში მხოლოდ ოქროს მაძიებელნი ცხოვრობენ. ამას წინათ შეერთებული შტატების მთავრობამ აკრძალა ბანქოს სათამაშო სახლი. სახლის პატრონს ბევრი არ უფიქრია, ამდგარა და ბერინგის ზღვაში ყინულზე მშვენიერი სათამაშო სახლი გამოუჭიმავს. ეს სახლი ნაპირიდან ერთის მილის მანძილზეა და არც შტატებისა და არც სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს არ ემორჩილება. სათამაშო სახლის პატრონმა ყინულზედვე გამოჭიმა მშვენიერი თეატრი, საცეკვაო დარბაზი, რესტორანი და სასტუმრო.

• •
•

ქალაქ ბერმენში (გერმანია) ამჟამად დიდი და პატარა ლაპარაკობს ერთ ქალზე, რომელსაც 1888 წელს დაეძინა საღათას ძილით და მხოლოდ ახლა გაეღვიძა. მეიერს ცეცხლის მქრობელთა რაზმის საყვირის ხმაზე გამოეღვიძა. ექიმებმა გულდასმით გასინჯეს და განაცხადეს: ახლად გაღვიძებული ქალი სრულ გონებაზეაო. მეიერს ახსოვს ყველაფერი, რაც კი 1888 წლამდე უნახავს და გამოუცდია.

• •
•

ამერიკაში ერთ ახალგაზრდა ქალს, გვარად პელტიტს, საჩივარი აღუძრავს ყმაწვილკაცის ტიტმორის წინააღმდეგ. ტიტმორი პელტიტის დანიშნული იყო, მაგრამ თავი დაანება. ქალს საჩივარში ჩაუწერია, რაც დანიშნულები ვიყავით, ტიტმორმა 1236-ჯერ მაკოცა, ამიტომ გთხოვთ, მომისაჯოთ 89,880 დოლარი, რადგან თითო კოცნა 80 დოლარი ღირსო.

სასამართლოში პელტიტს თავისი დღიურიც წარუდგენია. იქნება მოსამართლეებმა არ დაიჯერონ, რომ ტიტმორმა სწორედ 1236-ჯერ მაკოცა, ამიტომ ვადგენ ამ დღიურსო. დღიურში მართლაც აღნიშნული ყოფილა, რა დღეს რამდენჯერ უკოცნია დანიშნულს. სანეფოს სასამართლოში უთქვამს, მართალია, ძალიან ხშირად ვკოცნიდი ჩემ დანიშნულს, მაგრამ ეს კოცნა ძალიან ძვირად დაუფასებია: ვის გაუგონია 80 დოლარი თითო კოცნაშიო. ხანგრძლივი თათბირისა და ბჭობის შემდეგ სასამართლოს გამოუცხადებია განაჩენი, რომლის ძალითაც ბ-ნ ტიტმორს მიესაჯა 1236 კოცნისათვის 6.000 დოლარი ქ-ნ პელტიტის სასარგებლოდ.

• •
•

ერთი წლის წინად პარიზის ცნობილმა ქირურგმა დოიენმა მოახდინა შესანიშნავი ოპერაცია: ერთმანეთს მოაშორა ტყუპი დები რადიკა და დოდიკა, რომელთაც, როგორც სასწაულს, საჩვენებლად ატარებდნენ ევროპის ერთი ქალაქიდან მეორეში. ტყუპების დაშორება იმიტომ სცნეს ექიმებმა საჭიროდ, რომ ერთს დას ჭლექი დაემართა და იფიქრეს, მეორეც გახდება ავადო. ოპერაციის შემდეგ ჭლექიანი დოდიკა მალე გარდაიცვალა; მაგრამ, როგორც ეხლა აღმოჩნდა, მეორე დას ოპერაციამ ვერ უშველა: ისიც ჭლექით გახდა ავად.

• •
•

საზღვარგარეთის ფოსტა ცნობილია იმით, რომ თითქმის შეუძლებელია წერილი დაიკარგოს, რაც უნდა გაურკვეველი მისამართით იყოს გაგზავნილი. ამას წინათ ნიუ-იორკიდან ინგლისში შემდეგი მისამართით იყო მიღებული წერილი: „ჯოუ ლის, ბრმას, რომელიც ინგლისში მათხოვრობს“ დიდი ძებნის შემდეგ ფოსტამ იპოვა მათხოვარი ჯოუ და წერილი ჩააბარა. აღმოჩნდა რომ წერილი გამოეგზავნა ჯოუს მეგობარს, რომელიც ამერიკაში მათხოვრობს, და თავისი ადრესი არ შემოეთვალა. ჯოუმ პასუხი მისწერა და კონვერტზე დააწერა: „იაკობ ლეველს, ქერა მათხოვარს, კოჭლს, რომელიც ამერიკის ქუჩებში მათხოვრობს, ან სადმე ციხეში ზის“ ალბათ, ამ უცნაური მისამართითაც იპოვნიან ლეველს.

• •
•

მკითხველებს ეხსომებათ პრინცესა ლუიზა, რომელმაც თავი მიანება ქმარ-შვილს და ბავშვების მასწავლებელს გაჰყვა. ეხლა ლუიზას მაგალითისათვის მეორე პრინცესასაც მიუბაძავს. ნოემბრის პირველ რიცხვებში დრეზდენიდან წასულა და სადღაც დამალულა თავის მეეტლესთან ერთად პრინცესა ალისა.

# დიდი მადლობა სიამოვნებისათვის



ბრინჯაოს მედლის მფლობელი თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი.

გაბრიელ ხანუკაშვილი იყო უკანასკნელი ქართველი მოკრივე, რომელმაც ოცდაშვიდი წლის წინათ ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გარკვეულ წლებში სპორტის ბევრ სახეობაში დავთმეთ პოზიციები, კრივი კი მით უმეტეს, ლამის დავიწყებას მიეცა. ბოლო მოკრივის სამი ათეული წლის წინანდელი ოქრო სასურველ მოგონებადღა დაგვრჩა. ახლა არათუ ჩემპიონებსა და პრიზიორებს ველოდით, საერთოდ, საქართველოში კრივის გაქრობის შიშით ვიყავით შეპყრობილი და, ალბათ, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა მის ხელახლა აღორძინებას. მაგრამ... შარშან გაზაფხულზე ტელეტაიპის ლენტმა გვაცნობა, რომ სვერდლოვსკში ქვემძიმე წონის მოკრივეთა შორის ჩვენმა თანამემამულემ, დავით კვაჭაძემ გაიმარჯვა.

ეს ცნობა მეხის გავარდნას უფრო ჰგავდა, იმიტომ, რომ დავით კვაჭაძის სახელი მანამდე ცოტა ვინმეს თუ გაეგონა. აქ „მართვეს" 1976 წლის მეოთხე ნომრის ერთი წერილიდან მინდა მოვიყვანო ციტატა (ეს წერილი დავით კვაჭაძის ჩემპიონად გახდომას მიეძღვნა): „დიახ, ქართულ კრივს ჰყავს თავისი პრემიერი და ეს უკვე საქმის დასაწყისია, კრივის აღორძინების დასაწყისია".

დიახაც, რომ დასაწყისი იყო კვაჭაძის შარშანდელი მიღწევა, დასაწყისი, ძველი ტრადიციის აღორძინება, და არა შემთხვევითი წარმატება, როგორც ეს ბევრ სკეპტიკოსს დღემდე მიაჩნდა. დღეს, სვერდლოვსკის ბატალიებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, დავით კვაჭაძემ ფრუნზეში ჩვენი ქვეყნის მეორე ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, ხოლო მეორე ქართველმა სპორტსმენმა, 19 წლის სტუდენტმა ამირან ხიზანიშვილმა იმავე ფრუნზეს რინგზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. სხვათა შორის, ამირანი პირველად მონაწილეობდა საკავშირო პირველობაში და... პირველი დიდი წარმატება! ეს უკვე სერიოზული განაცხადია, როგორც სპორტის მიმომხილველებს უყვართ თქმა, და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დავით კვაჭაძის გაკვალულ გზაზე კიდევ ბევრი ქართველი რაინდი მიაღწევს წარმატებას...

„რაინდი" აქ შემთხვევით არ წამოგვცდენია: ქართველი მოკრივეების ახალი თაობის გზისგამკვლევი სწორედ რომ რაინდია, რაინდი-სპორტსმენი, რაინდი-ადამიანი...

„...კრივი არ უნდა ახახიჩრებდეს ადამიანს. მოკრივე, რომელიც მეტოქის დარტყმებს არ ერიდება, ოღონდ კი თავად უფრო მეტჯერ დაარტყას, დამეთანხმებით, არ შეიძლება იდეალად დავუსახოთ ჩვენს ახალგაზრდობას. დაუკვირდით, ძალისმიერ მოკრივეებს არ უყვართ დაცვა, იერიშზე ელტვიან... ნამდვილი კრივი გულისხმობს დაცვისა და იერიშის ჰარმონიულ შერწყმას, ტაქტიკურ ბრძოლას, შემოქმედებას, აზროვნებას... შესაძლოა, ეს აზრი ზოგიერთს არ მოეწონოს, მაგრამ ჩემი მიზანი ბრძოლის დროს არასდროს არ არის ნოკაუტი".

დავით კვაჭაძის ამ მოსაზრებას, რომელიც მან ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, სამწუხაროდ, არა მარტო ჩვენში, უცხოეთშიც ბევრი არ უჭერს მხარს, ფიქრობენ, რომ კრივი მხოლოდ და მხოლოდ მუშტი-კრივია და სხვა არაფერი. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით არ წაიყვანეს კვაჭაძე ოლიმპიურ თამაშებზე, თუ მოკრივეა „ჩხუბიც" უნდა შეეძლოს.

დავით კვაჭაძეს როგორ არ შეუძლია „ჩხუბი", ძალისმიერი ბრძოლა, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი რაინდია და თუ მისივე სიტყვებს მოვიშველიებთ, მას ჭკვიანური, ტექნიკურ-ტაქტიკური ბრძოლის მანერა უფრო იტაცებს. სპორტის ერთ-ერთი მთავარი ნიშანიც ხომ ეს არის!

სვერდლოვსკის ჩემპიონატის შემდეგ დავითმა ბრწყინვალედ იასპარეზა კუბაში. სწორედ იქ, ოლიმპიური ჩემპიონის სტივენსონის სამშობლოში აღაფრთოვანა მან მაყურებლები. ადგილობრივი გაზეთი „ხუვენტუდ რებელდე" წერდა: „კვაჭაძეს კარგ ტექნიკასთან ერთად აქვს უჩვეულო, მაგრამ მიმზიდველი და ეფექტური ბრძოლის მანერა... მისი მოძრაობების გაშიფვრა და გათვალისწინება ნებისმიერ მეტოქეს გაუჭირდება". დააკვირდით: მიმზიდველი და ეფექტური ბრძოლის მანერა! სპორტის კიდევ ერთი მთავარი ნიშანიც ხომ ეს არის!

დასანანია, რომ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის შეფასება და მისი რაინდული თვისებებით სიამაყის განცდა სხვათა გაზეთებითღა შეგვიძლია — დავით კვაჭაძეს ხომ საქართველოში არც ერთი ოფიციალური „ბრძოლა" არ გადაუხდია, რაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

დიდი მღელვარებით მოველით ამ დღეს. მანამდე კი ისევ უცხოეთის პრესას გადავხედოთ: წლევანდელი საკავშირო პირველობის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე დავით კვაჭაძე, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო ტრადიციული საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. დავითმა ორი შეხვედრიდან ორივე ეფექტურად მოიგო და ამერიკელი სპეციალისტებისა და გულშემატკივრების დიდი სიმპათიები დაიმსახურა, გაზეთმა „ინტერპორტ ტაიმსმა" სპეციალური სტატიაც კი მიუძღვნა ქართველ მოკრივეს. მისი ორთაბრძოლების ამსახველი ფოტოსურათები მრავლად იყო ამერიკულ პრესაში. მოვიყვანოთ ნაწყვეტი ერთი ამერიკული გაზეთიდან: „...კვაჭაძე, საბჭოთა კავშირის 1976 წლის ჩემპიონი, არასოდეს ყოფილა წარდგენილი „საერთაშორისო ხელთათმანზე" (საერთაშორისო მასშტაბის მოკრივის წოდებაზე), თუმცა ბოლო ოთხი წელია ახეთი კლასის სპორტსმენად არის აღიარებული".

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომანტი დავით კვაჭაძე 26 წლისაა. იგი ბავშვობიდანვე გაიტაცა კრივმა და ეს, ალბათ, მისი უფროსი ძმისა და მწვრთნელის როლანდ კვაჭაძის დიდი დამსახურებაა, რომელიც თვითონ მოკრივეა. თავდაპირველად რატომღაც უშლიდა ძმას კრივში ვარჯიშს, მაგრამ, როცა დარწმუნდა, გულით უყვარს და სპორტის ამ სახეობის ერთგული იქნებაო, თვითონვე ამოუდგა მხარში უმცროს ძმას.



ერთგული ბიბლიოთეკა

დავით კვაჭაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

„ეზოში ჩემი ძმა და მეზობლის ბიჭი ვარჯიშობდნენ: ხელთათმანები რომ დავინახე, მომეწონა, ხელზე წამოვიცვი და დავიწყე...", — იგონებს დათო.

— დათოს უპირველესი ღირსება შრომისმოყვარეობა, საქმის სიყვარული და დიდი ნებისყოფაა. თან ძალიან დისციპლინებულია, ტექნიკური, ფიზიკურად ძლიერი... ჰანდაყოლილი, ბუნებრივი ნიჭიც უწყობს ხელს, — გვითხრა როლანდმა.

„თორმეტი წლის ბიჭი რომ ვიყავი, ტანვარჯიშზე დავდიოდი და წარმატებაც მქონდა, მაგრამ კრივი მაინც სხვაა, მისი ღალატი არ შემეძლო".

ბოლო ჩემპიონატს უნდა დაედასტურებინა ის, რაც მის გულშემატკივრებს ისედაც გვჯეროდა, ხოლო ზოგიერთ ურწმუნო თომას ეჭვი ეპარებოდა, უნდა დაემტკიცებინა, რომ პირველი დიდი გამარჯვება შემთხვევით არ მოსულა.

...ფრუნზეს რინგზე დავით კვაჭაძემ ოთხი ორთაბრძოლიდან სამი აშკარა უპირატესობით მოიგო, მხოლოდ პირველ შეხვედრაში გაუჭირდა ლენინგრადელ ვ. მირონიუკთან. ამ შეხვედრაში დათომ მეტოქეს ერთი ქულის უპირატესობით სძლია, მაგრამ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თბილისელი სპორტსმენი თავიდანვე აღელვებული გამოვიდა რინგზე: მთელი ტურნირის განმავლობაში იგი შეუძლოდ იყო და, ალბათ, ამან თუ იმოქმედა ლენინგრადელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან შერკინების დროს.

— ტურნირის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ავად გავხდი, სიცხე რომ გამიზომეს, 39 გრადუსი აღმოაჩნდა და ჩემი გამოსვლა საერთოდ საეჭვო შეიქნა. მაგრამ, შეჯიბრების დაწყებისთვის სიცხემ დამიკლო, თუმცა სისუსტეს მაინც ვგრძნობდი. პირველმა გამარჯვებამ რწმენა დამიბრუნა, ძალა შემმატა, მაგრამ ყველაზე ძნელი ორთაბრძოლა ჯერ წინ იყო — ნახევარფინალური შეხვედრა კიეველ სპორტის ოსტატ პუმბოლოვთან. პუმბოლოვი ორივე ხელით კარგად იბრძვის, ტანადია და თვალი მუდამ იერიშზე უჭირავს, ამასთან უდიდესი ძალის პატრონია. მე მას დაცვითი ტაქტიკა დავუპირისპირე და ტექნიკურ-ტაქტიკური ბრძოლა „შევთავაზე". როგორც ვნახეთ, ჩემმა ტაქტიკამ გაამართლა.

დათოსთან საუბრის დროს ერთი მეტად დამახასიათებელი რამ მომხვდა თვალში — მას ბრძოლის ნიშანწყალიც კი არ აჩნდა სახეზე. იმის წარმოდგენაც კი გამიჭირდა, საერთოდ თუ ვინმე შეეხო მას. აი, ამას ჰქვია რაინდული ბრძოლა — არც სხვა დაასახიჩრო და არც შენ მიიღო ტრავმა.

წერილი ერთი პოლონელი კრივის სპეციალისტის სიტყვებით გვინდა დავამთავროთ, როცა მან ფინალური ორთაბრძოლის შემდეგ მიმართა დავით კვაჭაძეს: „დიდი მადლობა სიამოვნებისთვის!"

**დავით ჭელიძე**

**რედაქციისაგან:**

ჟურნალი უკვე იბეჭდებოდა, რედაქციაში სასიხარულო ცნობა მოვიდა: დავით კვაჭაძე ევროპის ჩემპიონი გახდა ქვემძიმე წონაში (81 კგ-მდე), და ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ჟურნალ „დროშის" რედაქცია ულოცავს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს დავით კვაჭაძის დიდ წარმატებას და უსურვებს მას, კვლავაც გაახარებინოს ქართული კრივის გულშემატკივრები.

# ამჯერად ბრინჯაო...





ვ. ბენზიურის ფოტო

ბურთის მოლოდინში.

წუთშესვენება.



ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთის მოყვარულებს ზეიმი დაუდგათ — თბილისის „დინამოს" გუნდი საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა.

ეს წარმატება, თითქოსდა, არც არის გასაკვირი გუნდისაგან. რომელსაც ადრე რამდენჯერმე მოუპოვებია ქვეყნის ჩემპიონობა, საკავშირო თასსაც დაუფლებია, მაგრამ ეს იყო საკმაოდ დიდი ხნის წინათ; და აი, ახლა რვა წლის შემდეგ, ქართული კალათბურთის ლიდერი კვლავ პრიზიორთა შორის არის.

წლევანდელი ჩემპიონატი მრავალსაფეხურიანი იყო და ამან მასში მონაწილე გუნდებისაგან ძალთა უკიდურესი დაძაბვა მოითხოვა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ჩემპიონატის დასკვნითს, თბილისის ტურში, სადაც ჩვენი ქვეყნის ექვსმა საუკეთესო გუნდმა უმწვავესი ბრძოლა გაუმართა ერთმანეთს სამეულში მოხვედრისათვის.

ამბობენ, სახლში კედლებიც გეხმარებიანო. მართალია, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები არ აკლდა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ დინამოელებმა თავიანთი მაღალოსტატური, აზრიანი, ტემპერამენტიანი და სანახაობრივად ლამაზი თამაშით სავსებით დაიმსახურეს ის ერთსულოვანი ტაში, ასე ხშირად რომ გაისმოდა სპორტის სასახლის თაღებქვეშ.

ასეთი გუნდი ღირსია გულშემატკივრობისა!

გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა გუნდის ყველა წევრმა. თითოეული მათგანი თავდადებით იბრძოდა გუნდის ინტერესებისათვის, ყველამ ბოლომდე გაიღო თავისი ფიზიკური თუ სულიერი ძალები.

კვლავ შეუდარებელი იყო თბილისის ტურის საუკეთესო მოთამაშე მიხეილ ქორქია, გუნდის ძრავა, როგორც მას უწოდა კალათბურთის ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა. მომავალი დიდი კალათბურთელის სახელზე განაცხადი გააკეთა ახალგაზრდა ნიკოლოზ დერიუგინმა, რომელიც ტურის საუკეთესო ცენტრის მოთამაშედ იქნა აღიარებული. ჩვეული თავგამოდებით და ოსტატობით იბრძოდნენ თამაზ ჩიხლაძე, იური პულავსკი, გივი ბიჭიაშვილი, ლევან ჩხიკვაძე. თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მოთამაშეებმა, რომლებსაც ქართული კალათბურთის მომავალი აბარიათ.

გუნდი ერთიანობისა და კოლექტიურობის სულით შთაბერეს, სასახელო გამარჯვებათა გზით ატარეს მწვრთნელებმა ლევან მოსეშვილმა და ამირან სხიერელმა.

ქართული კალათბურთის სახელი და დიდება მკვიდრ საფუძველზეა აღმოცენებული, მის ისტორიას ამშვენებს სახელგანთქმულ სპორტსმენთა თანავარსკვლავედი, შესანიშნავ გამარჯვებათა მთელი წყება. ახლანდელი წარმატება სწორედ ამ ფუძეზეა აღმოცენებული და გვჯერა, რომ იგი მომავალ გამარჯვებათა სტიმული იქნება და ახალ ბიძგს მისცემს ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის ამ შესანიშნავი სახეობის განვითარებას.

# თითქმის დაუჯერებელი

⊙ შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოაჩინეს 3 მილიარდ 300 მილიონი... ყალბი ფული.

ყალბისმქნელები თუკი კვლავაც ასე ინტენსიურად გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას, ადვილი შესაძლებელია, რომ ამერიკაში უახლოეს ხანში მიმოქცევაში უფრო მეტი ყალბი ფული იქნება, ვიდრე ნამდვილი დოლარები.

⊙ იაპონელმა სელექციონერებმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გამოიყვანეს უხვხორციანი მამლის ახალი სახეობა.
ამ მამლის კუდის სიგრძე... რამდენიმე მეტრია.

⊙ პოლონელმა გეოლოგებმა სვენტოკშის მთის მიდამოებში ამას წინათ აღმოაჩინეს ტროპიკული ტყის ნაშთები.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ჩვენს პლანეტაზე ამ ერთ-ერთი უძველესი ტყის ხნოვანება... 160 მილიონი წელია.

⊙ უნგრელმა სპეციალისტებმა სიმინდის სახამებლისაგან დაამზადეს... შაქარი,

ერთი ცენტნერი შაქრის ჭარხალი საშუალოდ 25 კილოგრამ შაქარს გვაძლევს, ერთი ცენტნერი სიმინდის მარცვლისაგან კი შეიძლება მივიღოთ... 60 კილოგრამი შაქარი.

⊙ ინგლისში ლოთობის მიზეზით სამუშაო დღეების გაცდენა ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე ავადმყოფობის გამო.

ფხიზელ დამნაშავეებთან შედარებით ინგლისში ლოთები სამჯერ უფრო მეტ დანაშაულს სჩადიან.

⊙ თუთუნის მავნებლობის დიდი პროპაგანდის მიუხედავად, შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსწიეს... 616 მილიარდი სიგარეტი.

ეს ციფრი 9 მილიარდით აღემატება წინა წელს ამერიკაში მოწეული სიგარეტების რაოდენობას.

⊙ იაპონიაში ამას წინათ დაამზადეს უნივერსალური რობოტი, რომელსაც სხვადასხვა ფიზიკური სამუშაოს შესრულება შეუძლია.

რობოტი თავისუფლად ცეკვავს, ეწევა ტვირთს, ფუთავს ყუთებს, ღებავს ავტომანქანებს.

⊙ შექსპირის ერთ-ერთმა დიდმა მოყვარულმა ამას წინათ გაიანგარიშა, რომ გენიალური დრამატურგის პერსონაჟებიდან ყველაზე მეტს ლაპარაკობს ჰამლეტი.

ლაპარაკში მეორე ადგილი ეკუთვნის რიჩარდ III.

უკანასკნელ ადგილზეა... ჯულიეტა.

⊙ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1975 წელს მომხმარებლებმა, უხარისხობის გამო, მაღაზიებში დააბრუნეს მათ მიერ ნაყიდი 12 პროცენტი კვების სხვადასხვა პროდუქტი, 13 პროცენტი საყოფაცხოვრებო ნივთი, 28 პროცენტი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

⊙ 68 წლის ამერიკელმა, ჯონ საიმისონმა სხვადასხვა დანაშაულისათვის ციხეში გაატარა... 33 წელი.

ამას წინათ იგი კვლავ დააპატიმრეს ერთ-ერთი რესტორნის სალაროს გაძარცვის მცდელობისათვის.

— გაქცევა შემეძლო, მაგრამ მუხლებმა შემაჩერეს, — განაცხადა სასამართლოზე ჯონ საიმისონმა, — მიხარია, რომ ციხეში მოვხვდები. იქ, რა თქმა უნდა, უფასოდ მიმკურნალებენ დაავადებულ მუხლებს...

# კროსვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. გამოჩენილი ამერიკელი გამომგონებელი; 4. იტალიელი კინომსახიობი; 9. კონტინენტი; 12. სოციალისტური რესპუბლიკა იუგოსლავიაში; 13. მთის მასივი ალპებში; 14. მუშაობის ან საზოგადოებრივ ორგანოების რიგებში ყოფნის ხანგრძლივობა; 16. ფარული დაცინვა; 17. თავის შესაქცევი, სანახაობა; 21. ფრანგი დრამატურგი; 22. ინგლისელი კინომსახიობი; 23. დედაარსი, რაობა; 26. ერევნის ფეხბურთელთა გუნდი; 28 მატადორი; 30. სახელდახელოდ თქმული ლექსი; 32. გადამწყვეტი იერიში; 33. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა; 37. მერინოსის ნაირსახეობა; 38. შეჯიბრების დაწყების მომენტი; 39. მატყლის საპალტოე ქსოვილი; 40. სიმებიანი საკრავი; 41. ჰაერნაოსნობა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. კარ-ფანჯარაზე აფარებული ფიცრის დასაკეცი საკეტი; 3. სოფელი ქართლში; 5. პერიოდული სხდომები; 6. დინამიტის გამომგონებელი შვედი ფიზიკოსი; 7. საორკესტრო კლავიშიანი საკრავი; 8. ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი დასაწყისი; 10. მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისება; 11. მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში; 15. რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლი, პოლიციის განსაკუთრებულად შეიარაღებული რაზმეული; 18. პირი, რომელიც სასწავლებელში სწავლის გარეშე აბარებს გამოცდებს; 19. მილის სახით დახვეული თამბაქოს ფოთლები; 20. საგანგებო შენობა ღვთისმსახურებისათვის; 24. ბიძგი რაიმე მოქმედებისათვის; 25. წყალმცენარისაგან მიღებული საღებავი ნივთიერება; 27. იატაკზე დასაფენი ჭილოფი იაპონიაში; 29. გულის მოქმედების რიტმის დარღვევა; 31. სპორტულ შეჯიბრებათა დასკვნითი ნაწილი; 34. მოხეტიალე მუსულმანი ბერი; 35. ქალაქი ჩილეში; 36. სახელმწიფოს განმასხვავებელი ნიშანი.

შეადგინა მ. კასრაძემ.

გარეკანის პირველ გვერდზე: წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის ფერმაში. თარხან არჩვაძის ფოტო. მეოთხე გვერდზე: მთათუშეთში. არნოლდ გეგეჭკორის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 7/V-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-77 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9 ტირაჟი 50.9000 შეკვ. 1615 უე 00726 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური იუმორი



— მამა, სად არის ალპები?
— დედას კითხე, სახლს ის ალაგებს ხოლმე.



— პეტერ, შენმა ძაღლმა ჩვენი ქათამი შეჭამა.
— კარგია, რომ მითხარი. დღეს საჭმელს ველარ მიიღებს.



— ვილი, გაიგონე? ენა აიდგა.
— ძალიან კარგი. ყაედობაში პარტნიორი გაგჩენია.



— ჩვენს მოყვარულთა ორკესტრში პირველ ვიოლინოზე უკრავს.



— ფრიცხენ! როცა კაცს ძალიან გეჩქარება, სწორედ მაშინ იცის ხოლმე გადაკარგვა, იმ ეშმაკის ფეხმა!



— ხომ ხედავ, არა მცალია. დედას კითხე!



— ჩვენი ორკესტრის წევრები შაბათობით ფეხბურთსაც ვთამაშობთ და ეგ კარში დგას ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა







ИНДЕКС 76056